

ქოველ-კვირეული საკოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

კვირა, 18 ნოემბერი. 1907 წელიწადი პირველი.

საბოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„ცისკარი“

გაზეთის 1907 წ. 16 სექტემბრიდან, კვირაში ერთხელ.

ერთი წლით ღირს 3 მ., ნახევარი წლით 2 მ., ცალკე № 5 კ.


ვანცხადება—წინა გვერდზე პწკარი 10 კ. უკანასკნელზე 5 კ.

ფოსტის აღრესი: *Кутаись, редакция „Цискари“.*

შინაარსი:

კაუციკი. სახელმწიფო დუმა.—ლექსი გ. ლადოშვილისა.—
სხვადასხვა ამბები.—მარქსიზმის კრიზისი შვარცისა.—საკვან-
ტო, მათუსალასი.—დეპუტატი ქალები ფინლიანდიის სეიმში
თ. გოგოლაშვილის.—კაპიტალისტები დაირაზმენ დათიკოლი.—
ნახული და გაგონილი გრიასი.—მწიგნობრობის გავრცელებ-
ის საქმე ქუთაისში. ის. კვიციანიძისა.—საკვირაო შკოლა.—
ქალაქის ამბები.—ბათუმის ამბები, ზეგარიკესი.—სოფლის
ამბები.—წერილები რედაქციის მიმართ.—

კანდ კაუციკი არის
საუკეთესო თანამედროვე
თეორეტიკოსი მეცნიერ-
რულ სოციალიზმისა, რომ-
ელიც შექმნეს მარქსმა და
ენგელსმა. კაუციკის აზრს
ამა თუ იმ პოლიტიკურ-
სოციალურ საკითხის შე-
სახებ ყურს უგდებენ და
ანგარიშს უწევენ არა მარ-
ტოგერმანიაში, სადაცივი
მოქმედებს, არამედ ყვე-
ლა ქვეყნებშიაც. მის რე-
დაქტორობით გამოდის
გერმანიაში ყოველ-კვირე-
ული ჟურნალი „Neue
Zeit“ („ახალი დროე-
ა“), მეტათ სკრიოზული
მეცნიერული ორგანო,
რომელიც ემსახურება სა-
ზოგადოებრივ ცხოვრების-
ან წამოყენებულ ათას-
წარ საკითხის ახსნა-გან-



ერთ-ერთი ლიდერი გერ-
მანიის სოც.-დემ. მუშათა
პარტიისა; მან მიიღო
მხურვალე, მონაწილეობა
ამ პარტიის ერთგურტის
პროგრამის შემუშავებაში,
რომელიც თითქმის ყველა
ქვეყნის სოც.-დემ. პარ-
ტიის პროგრამათ გადა-
იქცა; მანვე დასწერა ცნო-
ბილი ერთგურტის პროგ-
რამის კომენტარიები ანუ
განმარტება. კაუციკის ეკუ-
თენის მრავალი ნაწარმო-
ები, რომელთა შორის შე-
სანიშნავია: „ეკონომი-
ური მოძღვრება კარლ
მარქსისა“, „საზოგადო-
ების ისტორიის მოძრაო-
ბიდან“, „იტოგები და
პერსპექტივები“, „ანტი-
ბერშტეინი“ და სხვა.
კაუციკი ჩამომავლობით

სახელმწიფო დუმა.

წარსული კვირაც დუმამ შინაურ მოწესრიგებას, პრეზიდენტის და კომისიების არჩევას მოანდომა. მაგრამ ამ არჩევნების დროსაც საკმარისათ გამოირკვა მესამე დუმის უმეტესობის ნამდვილი ფიზიონომია.

8 ნოემბერს მოხდა მდივნის ხუთი ამხანაგის არჩევა. არჩევნებამდი პროგრესიულმა ჯგუფმა წინადადება შეიტანა, რომ სამართლიანობა მოითხოვს, ოპოზიციას, რომელიც დუმის მესამედს შეადგენს, სეკრეტარიატში სამი ადგილი მიეცესო. სიტყვა „ოპოზიცია“-მ საშინლათ გააბრაზა ბ. ბობრინსკი, რომელმაც სიტყვა: არ მესმის, რას ნიშნავს ჩვენში სიტყვა „ოპოზიცია“. პარლამენტარულ ქვეყანაში ოპოზიცია ვასაგებია, იგი სამინისტროს ოპოზიციას ნიშნავს, მაგრამ ჩვენში რის მაქნისია იგიო? მეტი გულწრფელობა შეუძლებელია. მემარჯვენეები უარს ყოფენ პარლამენტარულ მართველობას რუსეთში, 17 ოქტომბრის აქტს, თვითმპყრობელობის ძველი სახით აღდგენას ცდილობენ. ს.-დემოკრატების გარდა, რომლებიც არჩევნებში მონაწილეობას არ იღებდენ, ამ არჩევნებში არც შრომის ჯგუფს და მათ თანამოაზრეთ მიუღიათ მონაწილეობა. მდივნის ამხანაგებათ აირჩიეს ხუთი კაცი, სამი ოპოზიციიდან, მაგრამ კადეტების ორმა კანდიდატმა უარი განაცხადა მდივნის უმცროს ამხანაგის ადგილზე, რადგან კ.-დ.-ბის წინადადება, რომ ერთი მათგანი უფროს თანაშემწეთ დაენიშნათ პრეზიდენტში გადამწყვეტი ხმით, არ შეიწყნარეს. კადეტების ამორჩევამაც სეკრეტარიატში ბრაზი მორია მემარჯვენეებს და კელეპოვსკიმ უსაყვედურა კადეტებს: „თქვენ იმ სკამებზე სხედხართ, რომელზედაც ამ გაზაფხულს მეფის მკვლელები ისხდნო“. ამ სიტყვებმა დიდი ალიაქოთი გამოიწვია, ასე რომ ორატორი იძულებული შეიქნა „დაიკარგე, მოშორდი“-ს ძახილში ტრიბუნა დაეტოვებია.

10 ნოემბერს დუმაში სხვადასხვა კომისიების დაარსებაზე იყო ლაპარაკი. მიღებულ იქნა ოქტომბრისტების წინადადება, რომ, სხვა კომისიებს შორის, შედგენილ იქნას საბიუჯეტო კომისია, სახელმწიფოს დაცვის კომისია, რომელიც განიხილავს სამხედრო და საზღვაო მინისტრების კანონპროექტებს ახალი ჯავშნოსანთა აწენების შესახებ. სახალხო საზღოზე მზრუნველი კომისიის დაარსებამ კამათი გამოიწვია: ზოგი ამტკიცებდა, რომ ხალხის გამოკვების საქმის რეფორმას ადგილი ექნება ადგილობრივ თვითმართველობის რეფორმების შემდეგო, ზოგი-კი, რომელთაც მოხდეს რე-

ფორმა ხალხის გამოკვების საქმეში და საჭირო თანხა შემდეგ გადიდოსო. ეს საკითხი გადაწყვეტილი დარჩა. თუ ფულები ისევ გურკოებს ჩაუგდეს ხელში, ძალიან გაძდება დამშუფლების მუცელი, და თუ ადგილობრივ თვითმართველობის რეფორმას უცადეს, დამშუფლ რუსეთის 22 გუბერნიას — „პეტრეს მოსვლამდის, პავლეს ტყავი გადაქრეს“-ო — ისე მოუა.

13 ნოემბერს უქვეშევრდომილესი ადრესის ტექსტი განიხილეს. სოც.-დემოკრატები არ დასწრებიან ამ სხდომას. მემარჯვენეები თხოულობდენ, რომ ადრესში ნათქვამი ყოფილიყო ხელმწიფის თვითმპყრობელობაზე, რადგან რუსეთში არსებობს თვითმპყრობელობა და არა კონსტიტუციონური მართვა-გამგეობაო. ოქტომბრისტები სიტყვა „კონსტიტუციონურის“ ხმარებას ერიდებოდენ. დაბოლავდა მით, რომ ადრესში არც თვითმპყრობელობა იქნება მოხსენებული და არც კონსტიტუცია. ადრესში იქნება უბრალო სალამი ხელმწიფისადმი და იმ იმედის გამოთქმა, რომ დუმა იმუშავებს რუსეთის საღიდებლათ და სასარგებლოთ.

ცხადია, რომ ოქტომბრისტები როგორც სიტყვა „კონსტიტუციის“ ხმარებას დაერიდენ ამ ადრესში, ისე ნამდვილი კონსტიტუციის ცხოვრებაში განხორციელებასაც მოერიდებიან და 17 ოქტომბრის აქტს ტყუილა ებლაუჭებიან; „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა — შუაში უძვეს დიდი ზღვარი“.

* *

მუდამ ტანჯულს, მუდამ ჩაგრულს,
დაკნინებულს, მონათ ქცეულს,
გულს იმედი ჩამესახა
უცებ მღვეათ გადაქცეულს.

და რა თავი ვიგრძენ გმირათ,
სულთამხუთავ ბოროტ ძალას
შევებრძოლე, ვისაც წინათ
მოწიწებით ვძღვნიდი სალამს.

მწყალობს ზეცა, მივხვდი მეცა
და შევიგნე ჩემი ძალა,
აღელვებულ, მშფოთარე გულს
დააწყნარებს ვერ რა ძალა...

სიხარულით, ტრფობით შევსცქერ
სანეტარო მომავალსა.
წავალ წინ, წინ... და ახლაც წინ
მივდივარ და ვიკლევ გზასა.

გ. ლაღოშვილი.

სხვადასხვა ამბები.

*** 14 ნოემბერს 2 საათზე ქალაქის ბაღში დიდი სროლა ატყდა. მყისვე მაღაზიები დაიხურა და გულგახეთქილი ხალხი აქეთ - იქით მიიშალა. სროლაზე პოლიცია მოვიდა და რამოდენიმე პირი შეიპყრო. ამათ შორის ორი სასიკვდილოთ ყოფილან დაჭრილი რევოლვერით და ერთიც კაზაკებს გაუღახავთ მძიმეთ. ამბობენ დაჭრილები შანტაჟისტები, ფულის გაყაფაზე მოსვლიათ ჩხუბი, და ერთმანეთი დაუჭრიათო, დაჭრილები ქალაქის საავადმყოფოში წაიწაიყვანეს.

*** ხუთშაბათს 15 ნოემბერს ქუთაისის ოლქის სასამართლოში თფილისის პალატის სესიას უნდა გაერჩია საქმე წიგნების გამავრცელებელი ამხანაგობის „კოლხიდის“ გამგის, ისიდორე კვიციანიძის საქმე. ი. კვიციანიძეს ბრალს დებენ 129 მუხლის ძალით. ამავე დღეს დანიშნული იყო გასარჩევათ რაქველებს საქმე, რომლის გარჩევასაც პალატის სესია პირველათ შეუდგა. ამის გამო კვიციანიძის საქმე გადაიდო.

*** წასულ კვირას დანიშნული საზოგადოებრივი, რომელსაც შანტაჟისტების წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი უნდა აღმოეჩინა, — დამსწრე საზოგადოების სიმცირისა გამო გადადებულ იქნა 17 ნოემბრისთვის. კრება ქალაქის თეატრში გაიმართება.



წარღვაი შვიცარიიდან.

I.

შვეიცარია თითქმის არ იქცევს ყურადღებას საზღვარ-გარეთელ პრესისას. თქვენ შეხვდებით ვრცელ კორესპონდენციებს, როგორც რუსეთის, ასე დასავლეთ ევროპის ჟურნალ-გაზეთებში, სადაც გვაცნობებენ სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებას, მათ სოციალურ წინსვლის მატიანეს, კლასთა ბრძოლას.. საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი, ავსტრო-უნგრეთი, იტალია და ასეთი პატარა სახელმწიფოებიც კი, როგორც, მაგალითათ, ბოლგარია, სერბია და სხ. მუდამ შეადგენენ უცხოელ მიმოხილვათა და კორესპონდენციათა მასალას.

შვეიცარიიდან თქვენ ძალიან იშვიათათ შეხვდებით წერილს და პრესის უცხოელ განყოფილება თითქმის სრულიათ გვერდს უვლის იმ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას, რომელიც ითვლება სუყველაზე უფრო დემოკრატიულათ და თავისუფლათ.

შვეიცარია — ეს სიმბოლო პოლიტიკური თავისუფლებისა. შვეიცარიის პოლიტიკური წყობილება — ეს იდეალი მოწინავე დემოკრატიისა, შვეიცარია, რომლისკენ იცქირება ყველა ქვეყნის მოსახლეობა, რესიული დემოკრატია და იქ ეძებს იდეალურ ფორმებს პოლიტიკური რეჟიმისას, — ეს შვეიცარია, მისი ყოველდღიური საზოგადოებრივა და პოლიტიკური ცხოვრება — არ ნახულობს ადგილს ჟურნალ გაზეთების ფურცლებზე. ეს ჩვენ მიგვაჩნია დიდ ნაკლათ, და თუ ჩვენი წერილები ცოტათ შინც შეავსებს ამ თვალსაჩინო ნაკლს და მიაჩვენებს ქართველ მკითხველს თვალყური ადევნოს შვეიცარიის ხალხის ცხოვრებას, ჩვენ ჩავთვლით ჩვენ მიზანს მიღწეულათ.

შვეიცარიაზე გავრცელებულია ფართე საზოგადოებაში ის აზრი, ვითომ ის გაიყინა განსაზღვრულ პოლიტიკურ ფორმებში და მისი პოლიტიკური ცხოვრება არ მიდის წინ სოციალურ პროგრესისკენ.

შვეიცარიის პოლიტიკური ცხოვრება ერთობ წყნარი და ერთგვარია. ის ფართე პოლიტიკური თავისუფლებანი, რომელნიც მიღებული აქვთ შვეიცარიის მოქალაქეთ, პირველი შეხედვით თითქო არ შეესაბამება იმ მკრთალ საზოგადოებრივ ცხოვრებას, რომელიც არ წამოაყენებს ხოლმე დიად სოციალურ კითხვებს, არ გამოყავს პოლიტიკურ მოედანზე მომქმედი, მებრძოლი მასები, არ ითრევს მათ ინტენსიურ სოციალურ მოძრაობის ფერხულში.

ვინც პირველათ აკვირდება შვეიცარიის ცხოვრებას იმას უსათუოთ აოცებს ის წინააღმდეგობა, რომელიც არსებობს შვეიცარიის პოლიტიკური ფორმების და მისი შინაარსის შორის.

აქ თითქმის განუხაზღვრელი თავისუფლებაა კრების, მაგრამ სად არის ისეთი კრებები, რომ საერთო ყურადღებას იქცევდენ და ფართო საზოგადოებისთვის ინტერესს წარმოადგენდენ?! არსებობს თითქმის აბსოლიუტური თავისუფლება პრესის, — მაგრამ სად არის პრესა, რომელიც უკრავს ბუკს და იწვევს ხალხს ბრძოლისაკენ?

უნივერსიტეტებში კარები ფართეთ გაღებულია ქალები თვის, მაგრამ სად არიან შვეიცარიის ქალები? ამაოთ ეძებთ მათ უნივერსიტეტში, იქ მათ ვერ დაინახავთ მაშინ, როდესაც ქალები სუყველა კუთხეებიდან, განსაკუთრებით რუსეთიდან, აწყდებიან აქაურ უნივერსიტეტში. თავისუფლება სინდისის და აუარებელი კლერიკალური წრეები, რომლებიც იზდებიან, როგორც სოკოები...

ეს წინააღმდეგობა იმდენათ აშკარა და თვალსაჩინოა, რომ აიძულებს ყველას, ვინც პირველათ აკვირდება შვეიცარიის საზოგადოებრივ ცხოვრებას

დასკვნას, რომ შვეიცარია გაიყინა და მისი წინსვლა საეჭვოა.

მაგრამ ეს დასკვნა იქნება, ჩვენის აზრით, აჩქარებული, ზერელა, სიმართლეს მოკლებული.

შვეიცარია სრულებით არ დგას ერთ ადგილზე და თუმცა წყნარი, მაგრამ მაგარი ნაბიჯით მიდის წინ.

ამ წინსვლის ეტაპების აღნიშვნა, იმ ბურჟუას ჩვენება, რომელიც უშლის შვეიცარიის ცხოვრების მეთვალყურეს ფართე ისტორიული ერის დანახვას, ჩვენება იმ ისტორიული ეტლისა, რომელიც მიაქანებს შვეიცარიის ხალხს სოციალურ პროგრესისკენ, — აი ჩვენი წერილების საგანი. სანამ აღვნიშნავდეთ შვეიცარიის ცხოვრების წინსვლას, მოძრაობას, საჭიროა ჯერ გავიცნოთ ის პოლიტიკური ფორმები, რომლებიც ბეჭედს ასვამენ თანამედროვე შვეიცარიის პოლიტიკურ ცხოვრებას. მაგრამ ვინაიდან ამ დღეებში შვეიცარია იყო მოწმე ინტენსიური სოციალური ბრძოლის და ვინაიდან ამ ბრძოლას აქვს დიდი მნიშვნელობა, ჩვენ ამ წერილში საჭიროთ მიგვაჩნია ჯერ ამას გავაცნოთ მკითხველი. შემდეგ წერილებში კი ჩვენ დაუბრუნებით ვრცელ აღწერას შვეიცარიის სოციალურ ფიზიონომიისას, ურომლისოდაც გაუგებარი დარჩება ხასიათი თანამედროვე შვეიცარიის პოლიტიკური ცხოვრებისა.

ამ დღეებში შვეიცარიის მცხოვრებნი იყვნენ მოწმე სოციალური მოძრაობის, რომელიც შვეიცარიის საზოგადოებრივ ცხოვრების მომავალ ისტორიკოსისთვის (და არა მარტო შვეიცარიის ისტორიკოსისათვის) — ფრიად მნიშვნელოვანი იქნება.

ეს სოციალური ბრძოლა გამოიწვია ახალმა სამხედრო კანონმა (la nouvelle loi militaire), რომელიც მიღებულ იქნა შვეიცარიის პარლამენტის (l'Assemblée fédérale) მიერ. ეს ახალი კანონი მთელი თავისი სიმძიმით აწევბა მუშათა კლასს, იგულისხმებს სამხედრო ბიუჯეტის აწევას ათი მილიონით, საერთოთ აგრძელებს კაზარმებში ყოფნის ვადას 20 დღით, იწვევს შედეგათ მილიტარიზმის გაძლიერებას და, ბევრათ თუ ცოტათ, დემოკრატიული ჯარის-ანტიდემოკრატიულათ გადაქმნას.

როგორც ვიცით, ახალი კანონი, რომელიც შვეიცარიაში გამოდის, ძალაში შედის თუ პროტესტი არ არის ხალხის მხრით. მაგრამ თუ 50.000 მოქალაქემ მოითხოვა ახალი კანონის კენჭის ყრა, კანონი გადადის რეფერენდუმის განსახილველათ, სადაც კანონმდებლათ გამოდის არა ხალხის წარმომადგენლები, როგორც პარლამენტში, არამედ თვით ხალხი, — მთელი ხალხია კანონმდებელი.

სოციალდემოკრატია მ გასწია ენერგიული ავი-

ტაცია ხალხში და ივლისის პირველ რეკვში უკვე შეკრიბა 90.000 მხმა, თითქმის ორჯერ მეტი ვიდრე საჭირო იყო რეფერენდუმის მოსათხოვათ. რეფერენდუმში მოხდა კვირას, 3 ნოემბერს. 3 თვის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ სოც.-დემოკრატის მოძრაობის სათავეში, რომელიც მიმართულია ახალი კანონის წინააღმდეგ. შვეიცარიაში ამოძრავდა ყველაფერი, რასაც კი მოძრაობის უნარი ქონდა. მომდერლების და შემუსიკეების წრეები, მსროლოელთა და გიმნასტიკის მოყვარეთა ჯგუფები, ოფიცრები, სტუდენტები და ათასი სხვა წრეები ჩაერიენ საერთო მოძრაობის ფერხულში. გაიმართა მიტინგები და რეფერატები და სამი თვის განმავლობაში შვეიცარია წარმოადგენდა ადგილებულ ზღვას. სოც.-დემოკრატ. პარტია მოექცა სათავეში ანტიმილიტარულ მოძრაობას და ენერგიულათ იწვევდა ხალხს კანონის წინააღმდეგ საბრძოლველათ. სოც.-დემოკრატ. პარტია გაუშკლავდა ყველა ბურჟუაზიულ პარტიებს, რომელნიც მომხრენი იყვნენ ახალი კანონის. სიტყვის და წერის საშვალეებით, გაზეთებით და ბროშიურებით ს. დემოკრატია უმტკიცებდა მშრომელ ხალხს, რომ ახალი კანონი მისთვის საზარალოა.

ჩვენ არ გვინდა ახალი კანონი:

რადგანაც ის არღვევს ხალხურ შკოლებს;

რადგანაც ის ქმნის არისტოკრატიულ ბიუროკრატის, შეუთანხმებელს ჩვენ ზნე-ჩვეულებასთან, ჩვენი ინდივიდუალურ და სოციალურ ცხოვრებასთან; რადგანაც ის ხელს უწყობს შვეიცარიის ჯარის კლასიურ და კასტიურ ჯარათ გარდაქმნას;

რადგანაც ის აპობს გაფიცვის უფლებას 50.000 მუშებისათვის;


რადგანაც ის ქმნის ჯარს კაპიტალის იარაღათ, შრომის წინააღმდეგ;

რადგანაც ის, სამხედრო სამსახურის გაგრძელების საშვალეებით და ახალი სამხედრო ბაჟების დადებით, რომელიც აწევბა განსაკუთრებით მუშათა კლასს, აძვირებს ცხოვრებას;

რადგანაც, დასასრულ, მას შეაქვს დეზორგანიზაცია ეკონომიურ ცხოვრებაში.

ასე ლაპარაკობდენ სოც.-დემოკრატი ორატორები მიტინგებზე და იწვევდენ ხალხს დაე მოთ ახალი კანონი. იმავე დროს ისინი მოწოდებების, გაზეთების და ბროშიურების საშვალეებით წინ უშლიდენ ხალხს მეტათ საინტერესო ფაქტებს და ციფრებს.

1875 წელს, როდესაც გამოიცა სამხედრო კანონი, სამხედრო ბიუჯეტი შეადგენდა 11.018.259 ამის შემდეგ ის მატულობდა საშინელი სისწრაფით



და 27 წლის განმავლობაში თითქმის გაოთხეცდა: 1880 წელის სამხედრო ბიუჯეტი უდრიდა 12 მილიონს, ახლანდელი კი თითქმის 40 მილიონს, ახალი კანონის წყალობით ის აიწვეს 50 მილიონამდე.

ხალხი დიდის ყურადღებით უსმენდა სოც. დემოკრატ ორატორებს, ცოცხალი ინტერესით კითხულობდა მოწოდებებს...

მოახლოვდა 3 ნოემბერი...

სალამოს 8 საათზე უკვე ვიცოდით რეფერენდუმის შედეგი:

კანონი მიღებულ იქნა 60.000 ხმის უმეტესობით. 325.000 ხმა მომხრე იყო, 265.000 წინააღმდეგი.

რა მნიშვნელობა აქვს ამ ისტორიულ დღეს? „ამ დღემ დაგვანახა,—სწერდა ერთი ადგილობრივი სოც.-დემ. ორგანო,—რომ ჩვენ არ დავსუსტებულვართ, პირიქით, მან ნათლათ გვიჩვენა, რომ ჩვენ გაცილებით უფრო გავძლიერდით... 265.000 მოქალაქე ჩვენსკენ იყო და გვეხმარებოდა „ბინძურ მუშაობაში სამშობლოს (დასაქცევათ) დასარღვევათ“ („sale bosoque de desorganisation de la patrie“ *). ყოველ იერიშის შემდეგ ჩვენ უფრო გაერთიანებული ვართ, ვიდრე როდისმე; ბრძოლის დღეებმა ჩვენ დაგვანახა, რომ მხოლოდ ბრძოლაა პირობა ჩვენი განვითარების, მხოლოდ ბრძოლის, მედგარი ბრძოლის საშუალებით ჩვენ გავექანებით წინ პროგრესისაკენ“ -

კ. ბ.—ძე.

ქვეყნა 1907 წ. 13 ნოემბერი.

მარქსიზმის „კრიზისი“ **).

III.

როგორც მეორე წერილში ვთქვით, რევოიონისტების კრიტიკამ, რომელიც მიმართულია სოციალ-დემოკრატიულ პროგრამის წინააღმდეგ და რომელმაც მარქსიზმის მესამე კრიზისი გამოიწვია, მუშათა პოლიტიკურ და ეკონომიურ მოძრაობას ოღნავათაც ვერ ავნო. რევოიონიზმი ანუ, სწორეთ რომ ვსთქვათ, ოპორტუნიზმი — ეს თეორია როდია, დაყრდნობილი რაიმე განსაკუთრებულ პროგრამაზე. საზოგადოთ, თამამათ შეიძლება ითქვას, რომ მარქსიზმის უკანასკნელმა, ე. ი. მესამე კრიზისმა არ წარმოშობა არც ერთი თეორია, რომლის დაპირდაპირება შეიძლებოდეს მარქსიზმთან, მიუხედავათ იმისა, რომ მარქსიზმს ყოველ მხრივ აკრიტიკებენ

და მის უსაფუძვლობას ამტკიცებენ, მაინც იგი დღესაც, როგორც ამ 15 წლის წინეთ, ერთათ-ერთი და ამასთანავე ერთიანი სოციალიზმის თეორიაა. ყველა თეორიები, რომლებიც კი მარქსის სიკვდილის შემდეგ აღორძინებას აპირებდენ, ახლა დავიწყებულია; მას შემდეგ სოციალისტურმა ისტორიამ არ იცის არც ერთი ახალი სოციალისტური თეორია. მართალია, ცნობილი ედუარდ დავიდი შეეცადა ახალ სოციალისტურ თეორიის დაფუძნებას, მაგრამ ამათ: დავიდის თეორია არ არის საზოგადოების ახალი თეორია, იგი მხოლოდ ახალი თეორიაა სასოფლო მეურნეობისა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რომელიც მას მექანიკურათ მთლიან საზოგადოებისაგან გამოუყვია და მისთვის დაუპირდაპირებია. ედუარდ დავიდს რასაკვირველია, სწამს მარქსიზმი ინდუსტრიის განვითარებაში, მისი სინამდვილე მრეწველობაში, მხოლოდ სასოფლო მეურნეობაში კი მან ერთგვარი ახალი პრუდონიზმი აღიარა.

რევოიონიზმი არ ნიშნავს არც მარქსიზმის განვითარებას და არც მის მაგიერ ახალი სწავლის აღორძინებას; იგი ფაქტიურათ უარყოფს მარტო მარქსის სწავლა-მოდერებას კი არა, არამედ ყოველ საზოგადოებრივ ფორმასაც; რევოიონიზმი ისევე ეპყრობა მარქსიზმს, როგორც ნაციონალ-ეკონომიური ისტორიული შკოლა კლასიკურ ეკონომიას.

დავიდ რიკარდოს შკოლას არ მოჰყვა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ახალი უმაღლესათ განვითარებული პოლიტიკურ-ეკონომიური სისტემა, მის მაგიერ აღორძინდა ეგრეთ წოდებული ისტორიული შკოლა, რომელიც ყოველგვარ ღრმა ეკონომიურ ურთიერთობის კვლევას ფუჭ აბსტრაქციათ აღიარებდა და დღესაც აღიარებს. ისტორიულ შკოლის შეხედულებით, საზოგადო ეკონომიურ კანონის გამოძებნა, მისი აღმოჩენა, დაძველებული და ამასთანავე უნაყოფო მეთოდია კვლევისა; ეკონომიური ცხოვრება ისე რთული და მრავალ-მხრიანია, რომ მისი საერთო კანონის დაქვემდებარება ერთობ მოუხერხებელია. ამიტომ თანამედროვე ეკონომიური ცნებების განსაკუთრებულ შინაარს ეკონომიურ კანონების კვლევა-ძიება კი არ შეიძლება, არამედ ეკონომიურ განვითარების და შედეგების აღწერა; ესაა აუცილებელი პირობა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიის კვლევითი მეთოდის.

რასაკვირველია, ისტორიულ შკოლას ამ გზითაც შეეძლო ძეცნიერებისათვის ბევრი რამ ძვირფასი შეეძინა, სახელდობრ—ეკონომიურ ისტორიისათვის თუ იგი ეკონომიურ მოვლენების აღწერის ღროს განსაზღვრულ თეორიულ კანონ-პრინციპებ-

*) ეს აქტიური ბურჟუაზიული პარტიების ქუპელია.

**) იხ. „ცისკარი“ № 5.

ბით იხელმძღვანელებდა, რომლის საშვალებითაც ისტორიულ ფაქტებს კლასიფიკაციას უშვება, ტიპიურ მოვლენებს გამოაცალკევებს და ერთათ კაუზალურათ დააკავშირებს. ასე, მაგ., უკანასკნელ საუკუნეში სტატისტიკურმა გამოკვლევებმა ბევრი რამ ღირსშესანიშნავი ნაყოფი გამოიღო, რომელმაც სოციერთი ეკონომიურ მოვლენების ვითარება უფრო ნათლათ და გარკვეულათ დაგვანახვა, ვიდრე რიკარდო-მარქსის აბსტრაქციებმა. ამ მხრივ, როგორც ვთქვით, ისტორიულმა შკოლამ, თავისდა უნებურათ, საეკონომიო მეცნიერებას, განსაკუთრებით, ბევრი რამ შემატა და დიდი ნაყოფიც მოუტანა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თუმცა კლასიკურ ეკონომიას და მარქს თანამედროვე სტატისტიკური ნაკვლევი-ნაძიგების შედეგები ხელთ არ ქონიათ, მაგრამ თავის დროის ეკონომიური ფაქტიური მასალები საესებით ქონდათ შესწავლილ-შეთვისებული და თავიანთ კვლევითი მეთოდის საშვალებით შეეძლოთ აუარებელ ეკონომიურ ფაქტების სისტემატიურათ დალაგება, მათი გრუპიროკა.

როგორც ისტორიულმა შკოლამ, რომელიც რიკარდოს შკოლაზე შედარებით უფრო ჩამორჩენილი იყო თეორიულათ, თავის კერძო გამოკვლევებით მაინც გაამდიდრა მეცნიერება, ისე რევიზიონიზმმაც, თუმცა ესეც თეორიის მხრივ მარქსთან შედარებით უკან ჩამორჩენილობას ნიშნავდა, საზოგადოებრივი შეხედულობა გააფართოვა, თუმცა კი ამავე დროს ხელი შეუწყო და განავითარა ეგრეთ წოდებული ვულგარული გრძნობის სოციალიზმი.

რასაკვირველია, რევიზიონიზმს შეეძლო მეცნიერებისათვის ბევრი რამ ძვირფასი შეეძინა, თუ რომ იგი შეგნებულათ განსაზღვრავდა თავის ძალას და ისტორიულ შკოლასავით მთელ თავის ყურადღებას მოანდომებდა განვითარების და შედეგების აღწერას. მაგ., ჩვენ შეგვიძლია დავასახელოთ ორი ავტორი, სახელდობრ: ვები თავის ცნობილ გამოკვლევით „ისტორია ლრედიტნიზმისა“ და ტუგან-ბარანოვსკი — „ისტორია რუსეთის ფაბრიკისა“, რომლებმაც დასახელებულ გამოკვლევებით მეცნიერებას ბევრი რამ ღირსშესანიშნავი შეძინეს და საერთოთ საზოგადოებრივი შემეცნება ერთობ გააფართოვეს.

მხოლოთ როცა კი რევიზიონიზმი სოციალიზმის თეორიულ მხარეს ეხება, იგი მუდამ კრიზისს განიცდის და ახალი მთლიანი თეორია ვერ წარმოუშობია. ასეთ ცდის დროს ის ჩვეულებრივ არსებულ მარქსის სოციალიზმს ან მთლათ უარყოფს ან დასაშინლათ ამახინჯებს.

რევიზიონიზმი მხოლოთ ემით განსხვავდება

ისტორიულ შკოლიდან, რომ იმასავით ბურჟუაზიულ ნიადაგზე არა სდგას, არამედ ცდილობს პროლეტარულ თვალთა ხედვის ისრით ახსნას მოვლენები, თეორიულათ დაასაბუთოს თავისი შეხედულობა. მაგრამ რამდენათ რევიზიონიზმი ამ ნიადაგზე მოქმედებს, იმდენათ ის სუსტია.

ის მუდამ წინმსვლელი კლასი, რომელიც არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრების ჩარჩოში ვერ მიიღებს სრულ თანასწორობას და შეუზღუდველ განვითარების საშვალებას, მუდამ იმას ცდილობს, როცა კი კლასობრივი შემეცნებით არის განსქვალული, რომ არსებულ საზოგადოებრივ ფორმის მაგიერ დაისახოს ისეთი, რომელიც უფრო შეფერება მის კლასობრივ ინტერესებს. მას არ შეუძლია თავის მიზნის განხორციელება, უკეთუ ის არ არის ისეთ თეორიით შეიარაღებული, რომელიც მეცნიერულ საბუთებით ამტკიცებს არსებულ სოციალურ ურთიერთობის უვარგისობას და შეიცავს მთელი საზოგადოების მისწრაფებას. ერთ დროს ასევე საჭიროებდა ბურჟუაზიული კლასი ფართო საზოგადოებრივ თეორიას, რომლის საშვალებითაც ის ცდილობდა საზოგადოებრივ ცხოვრების თავის ინტერესების მიხედვით შეცვლას. მაშინ ბურჟუაზიამ ასეთი თეორია იპოვა ფიზიოკრატების კლასიკურ ეკონომიაში და სმიტ-რიკარდოს შკოლაში. როგორც კი ბურჟუაზია გაბატონდა, მას დაეშოა თეორიის ინტერესი, ის აღარ ცდილობდა ახლა მთელ საზოგადოების შეცვლას; პირიქით, ფანატიკურათ ებლაუტება არსებულს და მხოლოთ აქ-იქ მისი გაუმჯობესობა უნდა. ასე, ისტორიული შკოლა, რომელიც იმ თავთავე გამომხატველი იყო ბურჟუაზიულ მეცნიერების მოთხოვნილებისა, არ შეადგენს შემთხვევით მოვლენას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

პროლეტარიატს კი არ შეუძლია თანამედროვე წესწყობილებაში, აწყო საზოგადოებაში, სოციალურ თავისუფლების და თანასწორობის დაშვარება, რომელსაც ის ელტვის. ამისთვის პროლეტარიატმა გაბატონებული საზოგადოების წინააღმდეგი, მისი უარყოფელი პოზიცია უნდა დაიკავოს; მისი მიზანია მთელი საზოგადოების გარდაქმნა, ე. ი. პროლეტარიატი რევოლიუციონური უნდა იყოს. ამისდამიხედვით, პროლეტარიატისთვის აუცილებლათ საჭიროა ერთიანი და მთელი საზოგადოების შემეცნელი თეორია, რომელზედაც დაამყარებს თავის მისწრაფებას.

სანამ კლასიკური ბურჟუაზიული ეკონომია ბატონობდა, პროლეტარიატს თავისი საზოგადოებრივი თეორია იქიდან გადმოქონდა, მის საშვალებით იკმაყოფილებდა თავს. დღეს კი მის საჭირო საზოგა-



გადოებრივ თეორიათ შეიქნა მეცნიერული სოციალიზმი, მისი მეცნიერული კვლევითი მეთოდი. და თუ რევოლუციონიზმს უნდა განვითარდეს და ცხოველმყოფელი შეიქნეს, უღიადეს შტოს რევოლუციონურ სოციალისტურ მარქსიზმის თეორიას უნდა მიმართოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ისეთივე ბედი მოეწიოს, როგორც ბურჟუაზიულ ლიბერალიზმს, ვინაიდან ის, მეცნიერულ სოციალიზმის თეორიის გარდა, სხვას ახალს ვერას იპოვის. დღევანდლამდე რევოლუციონიზმს თავის კვლევა-ძიებით ახალი თეორიის ჩანასახიც ვერ შეუმუშავებია და მთელ მის თეორიულ ბრძოლას ოდნავათაც ვერ შეურყევია მარქსიზმის თეორია. პირიქით, მარქსიზმის ცხოველმყოფელ თეორიამ ისევე ადვილათ და შეურყველათ გადაიტანა რევოლუციონისტების მიერ გამოწვეული მესამე კრიზისი, როგორც ორი პირველი.

შპაკვი.

ს ა კ კ ა ნ ტ ი.

სწორეთ უბედურ ვარსკვლავზე გაჩენილან ჩვენში სხვადასხვა ამხანაგობანი! ბევრმა მათგანმა უკვე წაიღო თქვენი ჭირი და საწყალი ხალხის სიმწრით მონაგარი გროშები, ბევრსაც ცალი ფეხი უკვე სამარეში უდგია და „სულთა თანას“ უგალობენ... ჯერჯერობით გადაღლებული სული შერჩენია კიდევ მხოლოდ ქუთათურ ამხანაგობას „კოლხიდას“ და ასე თუ ისე მიაღონღიალებს თავის დუხჭირ არსებობას. ან კი რა ქნას ამხანაგობამ, ისეთი ჭირისუფლების ხელში, როგორიც ჩვენი თავადი ჰეტრეა.

11 ამ თვეს, საურთიერთო უნდაზღობის საზოგადოების დარბაზში ამ ამხანაგობის საზოგადო კრება მოხდა 1906 წ. ანგარიშის განსახილველათ. როგორც ვიცით, ამხანაგობას 200-ზე მეტი წევრი ყავს, კრებას კი გარდა გამგეობის წევრებისა მხოლოდ 12-მდე წევრი დაესწრო. თუმცა ძალიან ცდილობდნენ, ბამბის ამბავი მიეჩქმალათ, მარა მაინც გამომეღავენდა, რომ ბამბას თითქმის სრულიად ჩაუყლაპავს პარკის კარგა ზორბა მოგება, ასე რომ საანგარიშო წელს ამხანაგობას დარჩენია მხოლოდ 341 მან. 95 კაპ. მოგება.

ამ მოგებიდან თანახმათ წესდების § 60-სა 10% უნდა გადიდვას სათადარიგო თანხათ, 30% დივიდენდათ, 10% გამგეობის სასარგებლოთ და სხვა...

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ თავმჯდომარემ წაიკითხა ილია ქავჭავაძის ფონდის გასაძლიერებათ

რებლათ შემდგარი ქალთა წრის თხოვნით შემსახებ, რომ საზოგადოებას გადაედონ სსენებულ ფონდის სასარგებლოთ ცოტა რამ წვლილი თავის საშვალებათაგან.

ბრწყინვალე თავადმა პეტრემ, როგორც თავადს შეფერის, დიდი რიხით განაცხადა, რომ მთელი მოგება 341 მან. ფონდის სასარგებლოთ გადავლოთ.

ბ.ბ. ს. ჯაფარიძემ და ივ. კილაძემ განაცხადეს, რომ წესდების ძალით მოგება უნდა გადაიდოს სათადარიგო თანხათ და დივიდენდათ. ამათში მხოლოდ დივიდენდზე შეიძლება ხელის აღება ფონდის სასარგებლოთ, მაგრამ ხელის აღება შეუძლია თვითოეულ წევრს მხოლოდ თავის წილზე. წესდების ძალით 12 კაცის კრებას არ შეუძლია 200 კაცის დივიდენდს ის დანიშნულება მისცეს, რომელიც კრებას სურსო. ამიტომაც, — განაცხადეს მათ, — ვინც აქა ვართ, უარი ვსთქვათ დივიდენდზე ფონდის სასარგებლოთ, მაგრამ, რადგან ეს ძლიერ ცოტაა ასეთ სიმპატიურ საქმისათვის, ამიტომ ყველა აქ დამსწრეებმა კიდევ საკუთარ ჯიბიდანაც შევწიროთო. ამასთანავე ბ. ჯაფარიძემ გადასცა კრების თავმჯდომარეს 10 მანეთი და ივ. კილაძემ 3 მანეთი.

ეს განცხადება და „საკუთარი ჯიბის“ ხსენება მეხვიეთ ეცა თავად პეტრეს.

— რა სალაპარაკოა, ბატონო, რაღაც 340 მანეთი ამისთანა დიდ საქმისთვის, მაგრამ აქ წინააღმდეგ იმიტომ ლაპარაკობენ, რომ ი. ქავჭავაძის პატივის ცემა არ უნდათ!

ასე შეურაცხყო ბრწყინვალე თავადმა სხვისი გულწრფელი გრძობა!

ან კი რა გასაკვირველია!

პეტრე, ეს ის პეტრეა, რომელსაც ძლიერ უყვარს საზოგადო ფულებში ხელის ფათური, არა მარტო საზოგადო საქმის სახელით, არამედ პირად საკრახუნებლათაც.

ეს ის პეტრეა, რომელმაც ორასი ათასი მანეთი შესქამა ქუთ. საურთიერთო ნდობის ბანკის, ე. ი. წვრილ ვაჭარ-ხელოსნების!

ის, პეტრეა, რომელმაც ძირი გამოუთხარა ხსენებულ ბანკს, გააკოტრა და საწყალი მსესხებლები ბოლოს აზოვის ბანკს ჩაუგდო ხელში უკანასკნელი სულის ამოსახდელათ!

ან კი სხვაფერ როგორ მოიქცეს? მუდამ კვანჭირში ხომ ვერ დაჯდება „ცულის მაძულში“... ხან დახან ინგლისშიაც უნდა გაისიერნოს! დიახ, დასიერნობს თავადი პეტრე ინგლისში და ინგლისურ კულტურას ითვისებს... რომ შეგხედესთ, გერც კი

იწობთ, ინგლისელი გეგონებათ, თუმცა ნამდვილი ქეშმარიტი ქართველი ზუბრია. ქეშმარიტი ქართველი რომაა, ამიტომაც იყო, მიელი ამხანაგობის მოგება ფონდისთვის გადასდო. მას ამით არაფერი მოკლებია... უკაცრავათ, როგორც ამხანაგობის ერთ წევრს მოაკლდა მხოლოდ ხუთი შაური და სამ კაპიკ ნახევარი, არც მეტი და არც ნაკლები, ვილაცა კი მოიმაღლიერა და აანაც გულმხურვალე პატრიოტის სახელიც მოიხვეჭა!..

არა, თავადო, პეტრე! ინგლისიდან მარტო გარეგნული კულტურის, ე. ი. შარვლის ტოტის გადაბრუნება, ჟოკეის ქუდი და ინგლისური ჩიბუხის შიმპანზესავით გადმოღება კი არ კმარა, სხვა უფრო რამ ინგლისური უნდა გესწავლათ... თუნდის, თუ როგორ ეპყრობიან ინგლისელები საზოგადო ქონებას-

დასასრულ ერთი დარიგება „კოლხიდის“ გამგეობას:

ბამბის საყიდლოთ დალალ ურიებს ფული მისცენ ქარიან დღეებში, გვალვის დროს, თვითონ კი მიიწონონ ბამბა ურიებისაგან წვიმიან დღეებში. ამასთან დალალ ურიებს უსათუოთ მიუმატონ საკომისიო, რადგანაც საბრალონი ჩივიან, რომ ბათმან ნახევარს ფუთათ დიდი გაქირვებით ვზდიოთ.

მათუსალა.



დეპუტატი ქალები

ფინლიანდიის სეიმში.

ფინლიანდიამ მთელ ევროპაში პირველმა დაამტკიცა თავისი პოლიტიკური სიმწიფე. მან პირველმა მიანიჭა ქალებს, კაცებთან ერთათ, ხალხის წარმომადგენლების ცენტრალურ ორგანოში არჩევის უფლება. ფინლიანდიამ პირველათ განახორციელა კაცების და ქალების უფლებრივი თანასწორობა, და საყოველთაო საარჩევნო უფლება პროპორციონალური წარმომადგენლობით გაატარა ცხოვრებაში. დღეს ფინლიანდიელი ქალები თვითონაც ირჩევენ და მათაც არჩევენ ხალხის წარმომადგენლებათ. დიდი ძალა და ენერგია შეაღიეს ფინლიანდიის ქალებმა პოლიტიკურ უფლებებისათვის ბრძოლას.

1892 წლიდან ქალთა კავშირები გამწვავებულ აგიტაციას ეწეოდნენ მცხოვრებთა შორის პოლიტიკურ უფლებების მოპოვებისათვის. სქესის თანასწორობას, როგორც თვითონ ამბობენ ფინლიანდიელები, ხელი შეუწყო შერეულმა შკოლებმა, სადაც ბავშობიდან ქალები და კაცები ერთათ სწავლობენ, და გელსინგფორსის უნივერსიტეტმა, რომლის კარები დიდი ხანია ღიაა ფინლიანდიელ ქალებისათვის.

ინტელიგენტი ქალები მოუსვენრათ მუშაობდნენ ქალთა კითხვის შესასწავლოთ და დაფაროვნებდნენ ასპარეზს ამ იდეის გასახორციელებლათ ფინლიანდიის მცხოვრებთა შორის.

1899 უბედურ წელში და შემდეგშიაც, როცა ორთავიანმა არწივმა მკაცრი ბეჭელები ჩასქიდა ფინლიანდიის კონსტიტუციას, მთელი ერთსულოვანათ შეერთდა, რომ დაებრუნებია თავისი ეროვნული თავისუფლება,—თავისუფლება, დაკული ნამდვილი დემოკრატიული თანასწორობით.

1905 წელს, ოკტომბერში, იმ გამწვავებულ ბრძოლის დროს, ქალები კაცებთან ერთათ იღებდნენ მონაწილეობას. პოლიტიკურ გაფიცვაში ისინიც იბრძოდნენ საერთო საქმისთვის და გარდა ამისა, კიდევ იმ დიდ მნიშვნელოვან საქმისათვის, რომელიცაა ქალთა გათავისუფლება. ისინი დაჯინებით აცხადებდნენ, რომ, თუ ქალების პიროვნება გაათელეს და მათ არ მისცენ პოლიტიკური თავისუფლება, გაფიცვა სასტიკათ გაგრძელდება ქალების შრომის ყველა სფერებში. ქალების და საზოგადოთ პროლეტარების ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო.

1906 წელს, 28 მაისს, ფინლიანდიის სეიმმა მიიღო კანონათ საყოველთაო არჩევნები, განურჩევლათ სქესისა. იმავე წელს, 6 ივლისს, ეს კანონი დამტკიცდა.

1907 წ. თებერვალში ფინლიანდია შეუდგა სეიმის არჩევნებს ახალი საარჩევნო კანონის ძალით. საგულისხმოა, რომ ქალებმა უფრო მეტი, უფრო მხურვალე მონაწილეობა მიიღეს არჩევნებში, ვიდრე კაცებმა. რიცხვითაც ქალები მეტი იღებდა მონაწილეობას, ვიდრე კაცები. ალექსანდრა გრიპპენბერგმა, რომელიც აირჩიეს სამხრეთ ოლქში, მიიღო 28.000-ზე მეტი ხმა.

დღეს ფინლიანდიის სეიმში 19 დეპუტატი ქალია. იმათში ცხრა სოციალ-დემოკრატიკ: ზანსკენენ, ვიბორგის სახალხო შკოლის მასწავლებელი ქალია, თანამშრომლობს ჟურნალებში, დიდათ პატივცემულია მუშათა შორის; მანა სალა პანზე, დაარსა კავშირი ხელზე მოსამსახურეებისა, მეთაურობს ჟურნალს; „მუშა ქალ“-ში; მანაჰაჰ ლანსე, გამოჩენილი აგიტატორია და თავმჯდომარე მუშა ქალთა კავშირის ფრაქციისა; იზა ალდე, სოც.-დემ. კამიტეტის წევრია, ერთგული პარტიული მუშაკი, მხურვალე აგიტაციას ეწეოდა არჩევნების წინასწარ კრებებზე; ა. აუსტრანი ხელოსნის ცოლი; მამტი კანსუნფი, ფეიქარი; უ. კალტალიაინენ, მ. რაუნია, მკერავი; ს. ტენხალდსონა. ყველამ ამათ ბევრი იშრომეს მუშების თვითშეგნების გასაღრმავებლათ და მტკიცე ორგანიზაციის შექმნისათვის.



ყველაზე ბევრი დეპუტი მიუძღვის ს. — დემოკრატებს, რომლებმაც ერთხელ კიდევ დაუმტკიცეს მთელ ქვეყანას თავიანთი იდეური შრომის ნაყოფი პროლეტარიატს შორის.

სტაროფინებმა, ბურჟუაზიულმა პარტიამ, 6 ქალი გაიყვანა სეიმში; იმათ შორის მხოლოდ ერთია, რომ უმაღლესი სასწავლებელი გაუთავებია. სხვა დეპუტატ ქალთა შორის — **გაჯაგა გებგარტმა** ბევრი შრომა შეაღია კოაპერატიული იდეის გავრცელებას, ბევრს სწერდა ქალთა შრომის დაცვაზე და მოსამსახურე ქალების მდგომარეობაზე. შემდეგ უნდა დავასახელოთ: **ალექსანდრა გრამშენაევა**, რედაქტორ-გამომცემელი ჟურნალ „სახლი და საზოგადოებ“-ისა, საპატიო წევრი საერთაშორისო ქალთა ასოციაციისა, რომლის მონდობილობით მან, სხვათა შორის, დააარსა გრეციაში ამ ასოციაციის განყოფილება, თანამშრომლობს მრავალ ჟურნალში, როგორც სამშობლოში, ისე საზღვარ გარეთელ გამოცემებში; **ლაზა კავისაა**, ბევრი შრომა მიუძღვის სიფხიზლის საზოგადოებაში; **იდა ვამქელსუ**, გამგე სახალხო უნივერსიტეტისა. **ალაზა — მანამ კაკაქასკა**, მასწავლებელათ ნამყოფი, მწერალი, თანამშრომლობს სხვადასხვა საზოგადოებრივ დაწესებულებებში, ხშირათ კითხულობს სახალხო ლექციებს; **ეგელანა ალა კულაუსი**, ბევრს მუშაობდა მოძრაე შკოლაში, საკუთარი სახალხე აქვს კუორტონეში, ვაზანისკის მახრავი.

მემამულეების კავშირმა მოახერხა მარტო ერთი ქალის გაყვანა — **ხალმა დაასენისა**. ის ხნობით ყველაზე უმცროსია დეპუტატთა შორის. დაიბადა 1877 წელს, ირიცხება ქ. ვიბორგში სახალხო მასწავლებლათ, ბევრს სწერს სიფხიზლის საკითხზე, გამოსცა თავისი მოთხრობების კრებული.

ლიბერალურ მლადო-ფინების პარტიიდან სეიმში შედის **ლაურანა ხანგანა**, გამგე შკოლისა, სადაც ქალები და ვაჟები ერთათ სწავლობენ; **ხანგანა ეკუთენის** იმ ქალთა პირველ ჯგუფს, რომელმაც პირველათ ჩაყარა ფინლიანდიაში საძირკველი ქალთა თანასწორობის მოპოვებისათვის. ის კითხულობდა მრავალ ლექციებს ქალების უფლებების შესახებ დანიაში, შვეიცარიაში და ნორვეგიაში. მანვე დაარსა და თავმჯდომარეობდა ქალთა კავშირს „**აუნნიან**“-ს, **ალექ ნასსენენ**, უფროსი ზედამხედველი ოკოლისა, ჟურნალისტკა, ბევრი აქვს ნაწარმოები ბავშვების ლიტერატურაში, ამ ეამათ რედაქტორობს ჟურნალს „**დიასახლის**“-ს. ჩვენ დავგერჩა დაუსახელებელი ერთი დეპუტატი ქალი შვედო-მანების სახალხო პარტიისმიერ წამოყენებული — **დაგმანა ნელაგუსა**, ის იყო უფროს გამგეთ გელსინგფორსის

შკოლაში იმ დრომდე, სანამ რუსეთის მანათობამ არ მოინდომა ფინლიანდიის შკოლის დამანინჯება და სამშობლო ენის მაგიერ რუსულის გამეფება; 1904 წელს მრავალი შკოლები დახურეს, მათ შორის ნეოვიუსისაც, რის შემდეგ ის იძულებული გახდა საზღვარ გარეთ გასულიყო, სადაც ის თანამშრომლობდა „თავისუფალ სიტყვის“ ორგანოში, ამავე დროს ის იყო სულის ჩამდგმელი ქალების პოლიტიკურ ორგანიზაციისა, ის ყველგან და ყოველ საზოგადოების წრეებში ქალთა კითხვაზე პროპაგანდას ეწეოდა.

ამგვარათ ზემო ჩამოთვლილ დეპუტატ ქალთაგან ცხრა სახალხო სკოლის მასწავლებელია, ხალხის ცხოვრებასთან ახლო მდგომი და თავიანთი ამომჩრეველების ჭირ-ვარამის კარგი შკოდნე. სხვა დანარჩენებსაც, როგორც ვხედავთ, დიდი უშრომიათ საზოგადო საქმისათვის. ყველა ეს იმის თავდებია, რომ დეპუტატი ქალები ენერგიულათ შეუდგებიან იმ დიად საქმის კეთებას, რომლის ნიადაგი ბრავალი ტანჯვა-წვალებით მოიპოვეს. რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ქალების მუშაობაზე სეიმში, საკმარისია გადავხედოთ იმ პროექტებს, რომლებიც ახლახან შეიმუშავეს და ახლო მომავალში უნდა წარუდგინონ სეიმს განსახილველათ. აი ზოგიერთი მათგანი: სრული მოსპობა მაგარ სასმელების გაყიდვისა, გაუქმება ლეგალურ პროსტიტუციისა, გადასინჯვა საქორწინო კანონმდებლობისა, გათანასწოლება უკანონოთ შობილთა და კანონიერ ბავშვებისა, ქალთა ეკონომიურათ დამოუკიდებლობის აღიარება და გათანასწოლება ქალებისა და კაცებისა თვითმართველობის არჩენებში, სადაც ახლა ქალის არჩენის უფლება ხალხს არა აქვს, და გათხოვილ ქალს ხმაც არა აქვს. როგორც ვახეთები გადმოგვცემენ, დეპუტატი ქალები უკვე შესდგომიან თავიანთ პროგრამის განხორციელებას. მათ უკვე შეუტანიათ სეიმში ზოგიერთი პროექტები. როგორ მოეკიდება სეიმი ქალთა პროექტებს, ჯერ არ ვიცით, მაგრამ ის კი ნამდვილია, რომ ეს კითხვები პირველ რიგშია დაყენებული.

ფინლიანდიელი ქალების მაგალითი ნეტავი გადამდები იყოს...

თამაზა გოგოლაშვილი.

26 ენენისთვე, 1807 წ.



კაპიტალისტებიც დაირაჯმენ. *)

პროლეტარიატი, როგორც საზოგადოებრივი კლასი, თანამედროვე კაპიტალისტური საწარმოო

*) იხ. „ცისკარი № 5,

წესის პირში შეიღია. სადაც პროლეტარიატი, იქ კაპიტალიზმიც არსებობს; სადაც კაპიტალიზმი განვითარებულია — იქ პროლეტარიატის არმიაც ძლიერია. პროლეტარიატს, როგორც განსაკუთრებული სოციალური მდგომარეობის კლასს, ყავს თავისი პარტია — სოციალ-დემოკრატია — პროლეტარიატის ინტერესების და მისწრაფების გამომხატველი და დამცველი. მაგრამ შეცთობა იქნებოდა აქედან ის დასკვნა გამოგვეყვანა, ვითომ რომელიმე ქვეყნის პროლეტარიატი მთლათ შედიოდეს სოც.-დემოკრატიულ პარტიაში. პირიქით, რომელი სახელმწიფოც არ უნდა ავიღოთ, ყველგან ვხედავთ, რომ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მხოლოდ ნაწილი შედის მუშებისა. ეს ესეც უნდა იყოს, ვინაიდან მუშები იმდენათ შედიან ს. დ. პარტიაში, რამდენათაც ისინი კლასიურ თვითშეგნებას ითვისებენ. მუშათა კლასის კლასიური თვითშეგნება არ არის ისეთი რამ, რომლის რიცხვი იდა თვისებითი რაოდენობა ყოველ დროისათვის და ადგილისათვის ერთი და იგივე იყოს. იგი მუდმივ ზღა-განვითარებაშია. პროლეტარული შეგნება იმდენათ იზდება, რამდენათაც არსებული ანტაგონიზმი პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის მწვავედება, რადგან მთლათ არ შედიან დღეს სოციალისტურ პარტიაში, ამ გარემოებით ფართოთ სარგებლობს ბურჟუაზია. ის ყოველ ზომებს ხმარობს, რომ შეუგნებელი მუშები თავის იდეურ გავლენას დაუმორჩილოს, ბურჟუაზიული ლათიების ქადაგებით მაგრათ შებოქოს შეუგნებელი მუშების გონება. ბურჟუაზია ცთილობს ამ რიგათ შექნას ისეთი ორგანიზაცია, რომ ნამდვილ პროლეტარულ ორგანიზაციას დაუპირდაპიროს, ჩამოაგდოს მათში განხეთქილება, რათა სოციალისტური პარტია დაასუსტოს, დააქუცმაცოს და სოციალისტური მიზნის განხორციელებაზე საბოლოოთ ხელი ააღებოს... ბურჟუაზიის ასეთი ნატვრა ნაადრევია და მის განხორციელებას ვერასოდეს ვერ შესძლებს, ვინაიდან სოციალიზმი, როგორც ეს უკვე საკმარისათ დასაბუთებულია მეცნიერულათ, ისეთი აუცილებელი ისტორიული მოვლენაა, რომლის წინაშეც ბურჟუაზიაც იძულებული გახდება ქედი მოიხაროს. მიუხედავათ ამისა, ბურჟუაზიის მეცადინეობა მაინც უნაყოფოთ არა რჩება. ასეთი ყალბი მუშური ორგანიზაციების შექნით ის ძალიან უშლის ხელს სოციალისტურ პარტიის ზღას და სოციალიზმის განხორციელებასაც საგრძნობლოთ აფერხებს. ასეთ ყალბ-მუშურ ორგანიზაციებს, რომლებიც ბურჟუაზიისაგან არიან გამოგონებული, როგორც საბრძოლველი საშვალება ნამდვილ მუშურ პარტიის წინააღმდეგ, სხვადასხვა სახელები აქვთ.

მაგ., საფრანგეთში მათ „ყვითელ სინდიკატებს“ (ЖЕЛТЫЕ СИНДИКАТЫ) უწოდებენ; გერმანიაში გირმ-დუნკეროვის და ქრისტიან-სოციალისტთა კავშირებს ეძახიან; რუსეთში კი ეს ცნობილი ზუბატოვშინაა. აი რანაირათ ახასიათებს „ყვითელ სინდიკატებს“ საფრანგეთის ცნობილი ისტორიკოსი პოლ ლუი: „მათი აზრით, ამბობს ისტორიკოსი, კლასთა ძმობა და არა კლასთა ანტაგონიზმი შეადგენს შინაარსს კაცობრიობის ისტორიისას; მხოლოდ ხაზენებთან მშვიდობიანი მეგობრული განწყობილებით შეუძლიათ მუშებს თავიანთი მდგომარეობის გაუმჯობესება. მაგრამ, უმთავრესათ ყოველისა, მუშებმა ყურადღება არ უნდა მიაქციონ უტოპისტ-სოციალისტების ვერაგულ რჩევას“. როგორია ამ „ყვითელი კავშირების“ პრაქტიკული მოღვაწეობა? მათი მიზანია პროლეტარულ არმიაში განხეთქილების ჩამოგდება, პროლეტარიატის ერთი ნაწილისათვის ისეთი მოთხოვნილების წამოყენება, რომელიც მთელი პროლეტარული მასის ინტერესების წინააღმდეგი და შეუსაბამოა. მაგალითათ გაფიცვაზე მიდგება საქმე, ისინი ქადაგობენ, რომ გაფიცვის მომხრე ყოველთვის მუშების მხოლოდ მცირე ნაწილია, რომელიც ძალდატანებას ახდენს უმრავლესობაზე და ამას კი ჩვენ არ თანავუგრძნობთო. ე. ი. ასრულებენ შტრეიკ-ბრუნებების როლს. ამგვარივე საშვალებით ხელს უშლიან „ყვითელი სინდიკატები“*) კლასიურ ორგანიზაციების ზღა-განვითარებას, რომლებსაც მიზნათ კაპიტალისტებთან ბრძოლა აქვთ დასახული. ისინი ყოველ საშვალებას ხმარობენ, რომ სოციალისტების პრესტიჟი დასცენ მუშებში, ამისათვის აწერენ მათ ვიწრო ეგოისტურ შეხედულებებს და სხვა...

ასეთივეა არსებითათ გირმ-დუნკეროვის და ქრისტიან სოციალისტთა კავშირებიც გერმანიაში და ზუბატოვშინა რუსეთში**).

თუ რა ძალას წარმოადგენენ დღეს „ყვითელი სინდიკატები“, ამას ნათლათ გვიჩვენებს მათი წევრების რიცხვი. მაგალითათ, საფრანგეთში „ყვითელი სინდიკატების“ წევრთა რიცხვი, პოლ-ლუის

*) ამ სახელწოდების ისტორია ასეთია: როდესაც მონ-სო-დე-მინში (საფრანგეთში) პირველათ ასეთი სინდიკატი (იგივე კავშირი) შესდგა, სოციალისტმა მუშებმა მთლათ ჩაღწეეს იმ შენობის ფანჯრის ბინები, სადაც ეს სინდიკატი იყო. შენობის პატრონმა დროებით მიწების მაგიერათ ფანჯრებზე ყვითელი ქაღალდები გააკრა. აქედან წარმოსდგა „ყვითელი სინდიკატი“-ს სახელწოდებაც.

**) ამ უკანასკნელ ხანებში ოდესაში გაჩნდენ ერთგვარი ჯურის მუშები (ალბათ ქეშმარიტ რუსთა მუშებია), რომლებიც ყვითელ-პერანგების სახელს ატარებენ, წითელ-პერანგებისაგან გასასხვავებლათ (უკანასკნელს სოციალისტებს ეძახიან).

გამოანგარიშებით რამოდენიმე ასი-ათასს უდრის. ისინი მართავენ თავიანთ კონგრესებს, (პირველი კონგრესი ქონდათ ს. მანდემი, 1902 წელს მარტში), სცემენ გაზეთებს, აქვთ საკუთარი კასა და სხვა. „ყვითელ სინდიკატებს“ ფები აქვთ მოდგმული საფრანგეთის თითქმის ბევრ სამრეწველო ადგილებში, მაგ., ჩრდილოეთის მანდებში — პადეკალეში, აღმოსავლეთის ფოლადის ჩამოსასხმელ ქარხნებში და იარაღის დასამზადებელ ქარხნებში ტულონში და ბრესტში*).

გერმანიაში გირშ-დუნკეროვის კავშირებში ითვლება 120,000 წევრი, ხოლო ქრისტიან-სოციალისტთა კავშირებში 250,000 წევრი***).

ასეთსავე სურათს წარმოადგენს დაახლოვებით ევროპის სხვა ქვეყნებიც, რომელთა შესახებაც ციფრები ხელთ არა გვაქვს.

(გაგძელება იქნება).

დათიკო.

ნ ა ხ უ ლ ი დ ა გ ა გ ო ნ ი ლ ი.

(წერილი პეტერბურგიდან).

„მესამე დუმის მაგიერ, სამი ივნისის დუმა შეიკრიბა“.

შეკრების დღესასწაულიც სწორეთ ისეთი იყო, როგორც მას შეეფერებოდა.

მთელი პეტერბურგის პოლიცია ფეხზე იდგა. ყოველგან ჯარი, ცხადი თუ მალული. ყოველგან ჟანდარმი.

ყოველი ღონისძიება იყო მალეული, რომ ხალხის წარმომადგენლები ხალხიდან დაეფარათ, არჩეულები ამრჩევლებიდან დაეკვათ.

ხალხის გულ-გრილობასაც საზღვარი არა აქვს. სად არის ის გატაცება, ის დროშები, ის აღფრთოვანებული შეხვედრა პირნელი და მეორე დუმის მემარცხნე დეპუტატებისა? სად არის ის ხალხი, რომლითაც მაშინ გაქედილი იყო თავრიდის ახლო-მახლო ქუჩები? სად არის მიტინგები, კრებები, დებატები, რომლებიც მაშინ ყოველ საღამოს იმართებოდნენ სხვა და სხვა ადგილას. სად არის ის მითქმამოთქმა, კამათი-მსჯელობა, აზრის შეხლა-შემოხლა, როგორსაც მაშინ წააწყდებოდით ყოველგან: გზაში, ოჯახში, სასწავლებლებში, სასადილოებში, კონკახე და სხვაგან. დღეს დუმა თითქო არც კი არსებობს. ის არავის არ აინტერესებს გარ-

და შვირაზმელებისა, რომლებიც თავის ხელაღწერ გამარჯვებას თავ-დავიწყებით დღესასწაულობენ.

ღიახ, დუმა მემარჯვენეა, დუმა შვირაზმულია და მისი ასე აგდებაც ბუნებრივია...

ღირსეულ სტუმრებს ღირსეული მასპინძელი დახვდა.

ასე გეგონებოდათ დეპუტატები კი არა-ვინმე დიდი პოლიტიკური „დამნაშავე“ გადაყავთ ერთი ციხიდან მეორეშიო.

კონტრ-რევოლიუცია წელში გაიმართა. ყოველივეს მისი გავლენა ახლა უფრო თვალსაჩინოთ დაეტყო.

მისი ბრწყინვალე წარმომადგენელი ყველანი აქ არიან. აგერ „კლოუნი“ პურიშკევიჩი, მას გვერდს უშვენებენ ბობრინსკი და ევლოგი. აგერ დორერი და გუჩკოვი. ცოტა ზევით ცნობილი შმიდტი, რომელიც ავსტრიელებს ევაჭრებოდა რუსეთის ფორტების პლანებს მოგყიდითო. აკლია მხოლოდ კრუშევანი, რომელიც, როგორც ამბობენ, ისეთ პოგრომს აწყობს თურმე, რომლის მსგავსი ჯერ რუსეთს არც კი უნახავს.—მოვლიან კი მალე.

აგერ სტოლიპინი გაცხარებული პურიშკევიჩს ელაპარაკება და ლაპარაკის დროს ხშირათ მარცხნით იყურება.

ეს სოციალ-დემოკრატებზე უთითებს... ეშმაკმა იცის ამ კავკასიელების თავი და ტანი. არაფერი არ გავა მავათთან. რაც უნდა საარჩევნო სისტემა შემოიღო, ისინი მაინც სოციალისტებს გამოგზავნიან. მე ინგუშები გამოვიწერე. მინდოდა რაც შეიძლება ჩქარა მიწის საკითხი გადამეწყვიტა და იმათ კი სოციალისტები გამომიგზავნეს. აგრარული საკითხის გადასაწყვეტათ, როგორც გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, საუკეთესო საშუალება ეს ინგუშებია. რაც ვერ შესძლო ორმა დუმამ, ის ათმა ინგუშმა შეასრულა. აი თუ გინდ ხომიაკოვის მამული აიღე. სულ ათი ინგუში გამოიწერა და მისმა მამულმა სრულიად მოისვენა... არა კავკასიელებთან არაფერი არ გავა. საქიროა მავათ სულ წაერთვათ ხმა.

ღირს არს ჭეშმარიტათ-ადასტურებს მამა ევლოგი. აგერ ჩვენი ტიმოშკა (თბილისელი დეპუტატი) ჩოთქზე ანგარიშობს, თუ რამდენ ფულს აიღებს ის დუმაში ხუთი წლის განმავლობაში. მაგრამ კომისიამ მისი მანდატი ყალბათ იცნო და მოსალოდნელია მისი გაუქმება.

ფიქრი ნუ გაქვს, რა საქიროა მანდატი. კავშირის „ზნაჩოკი“ ხომ გაქვს. საკმარისია. ის ყველა მანდატზე უფრო ძლიერია—ანუგეშებს მას კელეპოვსკი.

***) „სინდიკატური მოძრაობის ისტორია საფრანგეთში“ გვ. 49—50.

****) „შუშათა მოძრაობის ფორმები“ გ. ტოტომიანც

გოლოვინის ადგილი ხომიაკოვმა დაიჭირა, რომელსაც სიტყვა კონსტიტუცია თავის პირველ „არქში“ სულ დაავიწყდა; უკაცრავათ, კი არ დაავიწყდა, საჭირო არააო და ამიტომ არა ვთქვიო...

მას მხარს უშვენებს თ. ვალკონსკი, ცნობილი გამოზეი-გამზეიჩის დამცველი და ბარ. შეიენდორფი.

მაკლაკოვი და ლოვოვი, როგორც ოპოზიციის კანდიდატები, გაშავებულ იქნენ, მიუხედავად იმისა, რომ წინა დღით კადეტებსა და ოკტომბრისტებს შორის ამ კითხვის შესახებ ვაჭრობა, როგორც ამბობდნენ, კადეტების სასარგებლოთ დასრულდა.

კადეტები მარცხნით მირეკეს. სანოვნიკები და წარჩინებული ზედა ქანდრებიდან ქვევით ლოვებში ჩამოიყვანეს.

სამაგიეროთ კორესპოდენტები ზევით ქანდრებზე შერეკეს, სადაც არც ისმის რამე და არც იხედება ხეირიანათ.

ამათი ზევით არეკის მიზეზათ ასახელებენ მათ აგიტაციას კულუარებში დებუტატებს შორის. თურმე „ნოვოე ვრემის“ კორესპ. მენშიკოვი აგიტაციას უწევდა ბობრინსკის და შულგინს, ს.-დემოკრატიულ ფრაქციაში ჩაეწერეთო. „რუსსკ. ზნამიას“ კორესპოდენტი კიდევ ოკტომბრისტებს კადეტების პროგრამის მიღებას ურჩევდა. ხოლო „გრაჟდანიის“ კორესპ. ველოვის და პურიშკევიჩს ესერების ჯგუფში შესვლას ურჩევდა

ეს დაუნახავს ოსტენ-საკენს და სავალდებულო დადგენილება გამოუცია, რომლის ძალით ყველა კორესპოდენტები, როგორც პოლიტიკური არა საიმედოანი, ზევით ქანდრებზე გადაუსახლებია.

მარა ოსტენ-საკენს დაავიწყდა, რომ აქ არის ცნობილი შმიდტი და საკმარისია რამდენიმე ბაჯალლო მისცე, რომ კულუარების პლანი მოგვიდოს და შემდეგ შესვლა ხომ ადვილია...

სამწუხაროთ, კორესპოდენტების გადასახლების ისტორიაში ოსტენ-საკენთან ერთათ ბრალს სდებენ ბ. ბოლქვაძეს, რომელსაც, როგორც პრესის ბიუროს თავმჯდომარეს, მოხსენება წარუდგენია სტოლიპინისთვის, რასაც შედეგათ ეს მოყოლია. ისტორია ფრიად ტალახიანია. ლიტერატურულ სფერებში დიდი მითქმა-მოთქმა ბ. ბოლქვაძის შესახებ. დანიშნულია კომისია. ვნახოთ, რას გვეტყვის...

გვეგმონია დუმაში, როგორც გაიგებდით, ოკტომბრისტებს ეკუთვნის. მემარჯვენეთა განკარგულებაში 264 ხმაა. ოპოზიციის კი—165.

პოლიტიკურ სფერებში იმედი ქონდათ ოკტომბრისტების და კადეტების შეთანხმების, მაგრამ იმე-

დი გაუცრუვდათ. ოკტომბრისტებმა ამჟამათ მოლაპარაკება გამართეს მემარჯვენებთან. მემარჯვენები თითქოს ნაზობენ და მეტ დათმობას მოითხოვენ ოკტომბრისტებიდან. ოკტომბრისტების ლიდერები მზათ არიან ყოველ გვარ დათმობაზე, მხოლოდ ეს კია, რომ უფრო „რიადოვოი“ ოკტომბრისტები ძალიან გაბრაზებული არიან თავიანთი ლიდერების ვაჭრობით და ამ დღეებში 34 გლეხი ოკტომბრისტი გამოვიდა ფრაქციიდან და ეფრემოვის (მშ. გან. პარ. წევრია) მეთაურობით ცალკე უპარტიო ჯგუფი შეადგინეს.

კადეტებს იმედი აქვთ, რომ თავის ინტელიგენტური ძალებით ისინი საკმაო უპირატესობას მოიპოვებენ. ვნახოთ. იმედით ვცხოვრობთ ყოველი კაცი.

ს.-დემოკრატები სტოლიპინის დეკლარაციის შემდეგ დიდი ატაკისათვის ემზადებიან. დუმის გახსნის ცერემონიაში მათ მონაწილეობა არ მიუღიათ.

ამ ჟამათ ფრაქციებში დიდი მითქმა-მოთქმა მეფისათვის მისართმევ ადრესის შესახებ, რომლის წამოყენება მემარჯვენეებს გადაწყვეტილი აქვთ.

გრიზა.


ნ ნოემბერი. პეტერბურგი.



მწიგნობრობის გავრცელება საქმე ქუთაისში *

ამნაირათ დღეს ბეჭვდითი საქმე საზოგადოთ, და კერძოთ წიგნების გამომცემლობა და გავრცელება, დიდ კრიზისს განიცდის. ამის გამო ძალიან ბევრი მაღაზიები და გამომცემლობა დაიკეტა, მოისპო სიცოცხლე სატახტო ქალაქებში, პეტერბურგსა და მოსკოვში, სადაც მრავალი ინტელიგენტური ძალები დაეწაფენ ამ სახალხო საქმეს რევოლუციის ხანაში. დღეს მრავალმა ცნობილმა ფირმებმა და რედაქციებმა ლიკვიდაცია მოახდინეს, რაკი უზომო სასჯელს, როგორც უფლებრიგ-ზნეობრივს, ისე ნივთიერს ვეღარ გაუძლეს. კავკასიის ქალაქებიდან კი ამ ქარიშხალმა ქუთაისში ყველაზე პირველათ დაბერა და ამ წლის დასაწყისში კიდევ იმსხვერპლა ჩინებულათ მოწყობილი ჩემი წიგნის მაღაზია და ჟურნალ-გაზეთების კანტორა „კოლხიდა“, რომლის დიდძალმა ზარალმა მის მემკვიდრე „იმერეთსაც“ ვეღარ წამოადებინა წელი და ამიტომაცაა, რომ, ეს წიგნის მაღაზიაც დღეს გაფართოების, უკეთ მოწყობის საქმეს ვეღარ შესდგომია, თუმცა სურვილი და პლანები დიდია მისი სამაგალითოთ მოწყობისა. სხვებიც ამგვარ პირობების, თუ უსაღსრობის გამო თავიანთ საქმეს ვერ

*) იხ. „ცისკარი“ № 7 და 8.



აფართოვებენ და ასე ჩანჩალ-ჩანჩალით, კუს ნაბი-
ჯით, მიდის ამ განმანათლებელ შემმაერთებულემა-
თა (предупреждениях) საქმე ქუთაისში.

დღეს კი ამგვარი მდგომარეობა მით უფრო
საგრძობელია, რომ, როგორც თავშიაც ვთქვი,
წასულ წლებში ცოდნის შეძენის მხრით მოსწავლე
ახალგაზდობას არა გაუკეთებია, იგიც პოლიტიკურ-
მა ცხოვრებამ გაიტაცა, მას აღარ ჩამორჩა; პოლი-
ტიკურ მღელვარების ტალღებმა მოიცვა მისი გრძობ-
ა-გონება და ამიტომ ცოდნის შეძენის, გონების
განვითარების საქმე განზე გადადო. დღეს ამ ახალ-
გაზდობას, რამდენადაც ვიცით, ცოდნის შეძენის
სურვილი აღეძრა, მას როგორც შკოლაში, ისე მის
გარეთ უნდა მეცადინეობა და გონების განვითარე-
ბა. დაეწაფოს. ამიტომ აქ, შკოლებში ხელმძღვანე-
ლთა მოვალეობაა ხელი შეუწყონ მათ არა მკვდა-
რის სახელმძღვანელოების გაზეპირებით, არამედ გო-
ნების განმავითარებელ წიგნების მოწოდებით ქარ-
თულ-რუსულ ენებზე. წაიკა და ის დრო, როცა მას-
წავლებელნი შეგირდებს საშკოლო გაკვეთილებს თუ
კი დააზეპირებდენ და მის კვალობაზე ნიშნებს და-
წერდა, გარეშე ამისა ისინი არავითარ მოკალეობას
არც მათ და არც საზოგადოების წინაშე არ გრძობ-
დენ, დაღუნავდენ თავს და ოცი რიცხვის მომლოდ-
ნელნი, შინ უდარდელათ გარბოდენ.

დღეს კი „დრონი იცვალენ“, დღეს „ახალთა-
ობა“ მასწავლებლისაგან შკოლას გარეთაც მოთ-
ხოვს ზნეობრივ-გონებრივ ხელმძღვანელო ბას და ვაი
მათ, ვინც ამგვარ ხელმძღვანელობას ვერ შესძლებს
და თავის სამ ახურს ჩინოვნიკურ ფორმაოურ მო-
ვალეობაზე დაამყარებს. ასეთი აღმზღვლნი ახლანდელ
მოსწავლე ახალგაზდათა გრძობა-გონებას ვერ მიი-
პყრობენ, იმათ გულს ვერ მოიგებენ და სწორეთ
ესაა სხვათა შორის ერთი უმთავრესი მიზეზი, რომ
ახლანდელ სასწავლებლებში მოსწავლეთა და მასწავ-
ლებელთა შორის „ხიღია ჩატეხილი“. ამიტომაცაა,
რომ დღეს ეს უკანასკნელნი თითო წლობითაც ვერ
ჩერდებიან სასწავლებლებში, ახალ-ახალ ალაგებს
ეძებენ, აქაოდა იქნებ იქ უკეთესი პირობები იქნე-
სო. მაგალითისათვის, ქუთაისის რეალურ სასწავ-
ლებელს და გიმნაზიას თუ ავიღებთ, დავინახავთ,
რომ აქ ამ 4—5 წლის განმავლობაში 4—5-ლა თუ
არის ძველი მასწავლებელი, სუყველანი წავიდ-წა-
მოვიდენ აქეთ იქით. ამ სასწავლებლებს დირექტორ-
ინსპექტორიდან დაწყებული სულ ახლები ხელმძღვა-
ნელობენ, მაგრამ დღესაც არ არის იქ დამყარებული
ნამდვილი ნორმალური სწავლა-მეცადინეობა. თუმცა
ქუთათურ მოსწავლე ახალგაზდობის საყურადღებოთ
ის უნდა შევნიშნოთ, რომ მათი დიდი უმრავლე-

სობა (100%⁰-დან 80%⁰) არავითარ გონებრივ-
ვითარებელ მეცადინეობას არ მისდევს, გრძობა-
მხედველობის კმაყოფილებას უფრო ეტანებიან,
ბულვარსა და ბილიარდებში ატარებენ ახალგაზდო-
ბისთვის ძვირფას დროს. ეს მაშინ, როცა მომზა-
დებული, შეგნებული მუშაკები ასე საქირონი არი-
ან ჩვენში. დღეს საზოგადოებას გული აქვს ამ ახალ-
გაზდობაზე გატეხილი: არ სწავლობს, ცოდნას არ
იძენს, გულაცრუებული სტუმარია შკოლისა, იგი
სხვა გარეშე საქმეებს მისდევს და თვითგანვითარე-
ბის საქმე მიუტოვებიაო და სხვა ამგვარი საყვედუ-
რები გაისმის ყოველგან მათ შესახებ. ამისათვის
ახალგაზდობის უმრავლესობის, თუ არა მისი საუ-
კეთესო ნაწილის, ზნეობრივი მოვალეობაა საზოგა-
დოების ასეთი შეხედულება გააბათილოს, თავის რე-
ნომე—სახელი აღადგინოს, საქმიანობით და თვით-
განვითარებით დაანახოს ყველას, რომ იგი არც ისე
ქარადუშუტულათ მოქმედობს, როგორც ეს ბევრს
ჩვენება. ამებს კი აღამიანი ქუჩებში სიარულით
როდი მოიპოვებს, არამედ მწიგნობრობის შეეგა-
რებით, სწავლა-ცოდნის შექენით და შემდეგ ვისაც
ქვე-გონება უჭრის, ენაც შესაფერი აქვს და მო-
ხერხებაც თან სდევს, უნდა ცდილობდეს ამ სწავ-
ლა-ცოდნის დაბოლო ხაჯხში გადატანას, მათა სტი-
ქაურ და განუგათარბეულ მიდრეკილებათა გაკულ-
ტურებას, გონების მეცნაეკებათ შეაარადებას...

აი ამ ნიადაგზე მოქმედებით შეუძლია მოსწავ-
ლე ახალგაზდობის საუკეთესო მცირე ნაწილს გაკ-
ლენა იქონიოს დანარჩენ თავიანთ უმეცადინო,
ძვირფასი დროის უნაყოფოთ დამკარგველ ამხანაგებ-
ზე და აქედანვე ჩაუნერგონ მათ გონება-ზნეობის
გამათაქიზებელი სიყვარული მწიგნობრობისადმი,
რაც მათ ბევრ უკუღმართ საქმეებს ააცდენს...

ისიდორე კვიციანიძე



ქუთაისის საკვირაო შკოლა.

(საზოგადოების საყურადღებოთ).

აგერ თითქმის 16 წელიწადი სრულდება, რაც
ჩვენს ქალაქ ქუთაისში, არსებობს ერთათ-ერთი სა-
კვირაო შკოლა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში
შეძლებსა, და გვარათ ემსაბურება იმათ სულიერს
მოთხოვნილებას, ვინც უსაღსრობის გამო შკოლის
გარეშე დარჩენილა. უკანასკნელი სამი წელიწადი
ეს ერთათ-ერთი ღარიბი კლასის მისაწვდომი განმა-
ნათლებელი დაწესებულება, სხვადასხვა მიზეზებისა
გამო, ჯგროვანათ ვერ ასრულებს თავის სიმპატიურ
დანიშნულებას. ასეთი სამწუხარო მოვლენის უმთავ-
რეს მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ

მასწავლებელთა უმეტესი ნაწილი ძლიერ გულგრილათ ეკიდება ასეთ სიმპატურს დაწესებულებას, მეორე, არა ნაკლები მიზეზი შკოლის უსაადსრობაა. ქალაქის გამგეობის მიერ ყოველ წლიურათ გადაებული 300 მანეთი ვერ აკმაყოფილებს შკოლის მრავალგვარ ნივთიერ მოთხოვნილებებს და ასეთი მცირე სუბსიდიის აღებაც კისკირს თავის დროზე. საღამოების გამართვაც ვერ მოხერხდა ამ უკანასკნელ წლებში; ასე რომ აუცილებელი სასწავლო ნივთების რეგულების და წიგნების—შესაძენი ფული არ მოეძებნება შკოლას. ამ წლის ენკენისთვეში დროებით არჩეული შკოლის გამგეობა აპირობს 25 ნომბერს საკრებულს დაარბაში სალიტერატურო მუსიკალური სადამოე გამართოს, რომლის შემოსავალი სავსებით მოხმარდება შკოლის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობას. იმედია, ადგილობრივი საზოგადოება დიდი თანაგრძნობით მიეგებება ამ საღამოს და თავისი დასწრებით შეიტანს წვლილს შკოლის ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში. დროა ენერგიულათ დავებმაროთ სიმპატურ დაწესებულებას, როგორც არის საკვირაო შკოლები, სახალხო კითხვები, საშკითხველოები და სხვა, რაც კი გათვითცნობიერებას ემსახურება.

ქ ა ლ ა ქ ი ს ს ა მ მ მ მ ბ ი .

12 ამ თვეს, სულამოს, მოხდა საბჭოს სხდომა, რომელსაც შეგვიძლია გუწოდოთ დასმდე-გინების სხდომა. ეს გამწვანება გამოიწვია სულარიის ტყის მოვლა-პატრონობის საკითხმა. ამ საგნის შესახებ ქალაქის გამგეობამ წარუდგინა საბჭოს ბ. კეძმაშვილის პროექტი, რომე იც უკარგისათ სცნო ბს სულარიის ტყის ექსპლუატაციას ამ სხდომით, როგორც ამდენსახს სწავრობდა. ამის აზრით, მდარე ხეები უნდა მოეჭრათ და კარგები კი დაეტოვებინათ, მაგრამ ხმამდღვლათ კარგ ხეებს უმოწყვლათ სჭრადაც და უკარგისებს კი სტოკებდენ. თან ეს ტყე იმდენათ ხნაური ყოფილა, რომ, თუ მალე არ მოიჭრა, სულ ტყუილ-უბრალოთ გაფუჭდება. უმჯობესია ეს ტყე ნაწილ-ნაწილათ მოიჭრას, გამოურჩეულათ 40 ან 50 წლის განმავლობაში ისე, რომ, როცა უკანასკნელი ნაწილი მოიჭრება, შირველათ მოჭრილ ნაწილში ხეების ზღა დამთავრებული იქნება; კიდევ უმეტესი იქნებოდა, მკისს მაგივრათ რომ მთელი ამ ტყის ტერიტორიაზე თეთრი აკაციის ვაშენება; მაშინ 40 წლის განმავლობაში ამ 600 დესიატინს მკისს ტყის მაგივრათ აკაციის ტყე გვექმნებოდა; აკაცია კი უფრო მალე იზდება, კიდრე მკის და დარსებითაც მალე სდგას მკისზე.

ხმოსნები ამ საკითხს დიდი რდიით და მოკრძალებით შეხვდენ: კაი თუ ხეებს გამგეობამ ეს ტყე მოს-

ჭრას და სიმაგიეროთ აკაციის ტყე კი ანაგადასტოვებოდა ეს ადგილი. ამიტომაც საბჭომ აინიხა კომისია და დაავალა სპეციალისტების დახმარებით ეს კითხვა შეემუშავება და საბჭოსთვის მოეხსენება.

კომისიამ წარუდგინა საბჭოს პროექტი, ეს ტყე 40 წლის განმავლობაში კი არა, 4 წლის განმავლობაში გაჩეხნოთ და სიმაგიეროთ აკაციის ტყე ავაბინოთ. ეს პროექტი რაღაც არ მოუკადათ ჭკუაში ხმოსნებს, მით უმეტეს, რომ თვით კომისიის წევრებმა ასეთი გრძელ-გრძელი სიტყვები წარმოთქვეს სულარიის ტყის ექსპლუატაციის შესახებ რომ გამოდიოდა თითქო თვითონ ისინი ადღვევენ თავის შემუშავებულ პროექტს. მაგ., ბართლომე მოსეშვილმა თითქმის სავთი იფაზარკა სულ ამ პროექტის წინააღმდეგ; თუმცა ის თვითონ კომისიის წევრი იყო. ხმოსნებმა მოიხილეს, კომისიის გადაწყვეტილება დაბეჭდეთ და დატვირთვეთ, რომ რიგინათ ვაჩეხნოთ ამ კითხვას. მართლაც კომისიის პროექტი დაარბეს, მაგრამ სხდომის წინა დღით, როცა გაჩეხობის წევრმა, ბ. ფანცხავამ, კომისიის პროექტის მოხსენება დააბრია, ხმ. დარსკვლავიმ მოითხოვა, შირველათ ხემა განცხადება წაუკითხეთ ხმოსნებს. კომისიის პროექტი კი არ დატვირთეს ხმოსნებს, ამბობდა ბ. დარსკვლავი თავის წერილობით განცხადებაში, — არამედ გამგეობის წევრის გ. ბაქრაძის თხზულება. მე კომისიის წევრი ვარ, მაგრამ ხემათის არც კი შეუტოვებინებოთ, როცა სრულ სიწრუეს ურთიკებდენ ხმოსნებს. ეს განცხადება რა თქმა უნდა, იწყის გ. ბაქრაძემ და თავის მხრით შწავე ვასუხი განცხადებას შევლიდეს, ასე რომ ბ. ფანცხავა და ხმოსნები რომ არ ხმამდგარიყენ შუაში ზავის ჩამოსვდებათ, მკონა, საქმე მუშტ-კრიაძე მადლოდა. ხმ. ნახარკაძე კრთხელ კიდევ მოაგონა საბჭოს, თუ რა სიყროხილეს საჭ რო სულარიის ტყის რაციონლური ექსპლუატაციის სავითხის გადასწყვეტათ და ურჩია, ხე აჩქარებით შეიკვეთ გაჩეხეთ და კრთხელ განსტერთო. ამზე წამოკარდა ზეზე ხმ. მოწინამე და მოყვას ხმოსნების დასმდე-გინების. მერ კომისიის წევრი ვარ და ამიტომაც ვარ გაჭავრებული. თუ გვენდეთ და ჩვენ უფრო მრადნე შირებს მოგვანდეთ ამ კითხვას გადაჭრა, რაღაც ჭირვეულობით და ყოყმანობით; თქვენ ვის რა გეხმით ამ კითხვამო და სხვა. სიმაგიეროთ მალეინ მაგარ მაგარი სიტყვები უთხრეს მოწინამესაც და დახრჩენ კომისიის წევრებსაც. დაბოლოს ბ. მოწინამემ საჭიროდ დაინახა საბჭოს წინაშე ბოდიში მოეხდა.

როცა ერთი მეორის დასმდე-გინებით გულა იკვერეს, ხმოსნებმა საჭიროთ სცნეს ამ კითხვის განჩევ შეძეგ სხდომამდე გადაეკათ.

ასე სჯობია. დამშვიდდებოან!




.. ბ ა თ უ მ ი ს ა მ ბ ე ბ ი .

ქალაქის გამგეობის წევრის არჩევნები და ქართველი ხმოსნის მუხანათობა.

წარსული თვის უკანასკნელ რიცხვებში მოხდა არჩევნები ბათუმის თვითმართველობის ერთი წევრისა. გ. ვოლსკის მაგიერ. წევრობაზე ყუთი დაიდგა სულ სამმა კაცმა: აფიცურმა სახნოვსკიმ, ლ. გაბუნიაშვილმა და ს. მდივანმა. ხმის უმეტესობით არჩეულ იქნა ბ. სახნოვსკი. ბ. სახნოვსკის შესახებ ჯერ-ჯერობით ბევრი არა ვიცით რა, გარდა იმისა, რომ ის არის ხელობით აფიცური და ბათუმში კარგი შეძლების მექანი. ყოველ შემთხვევაში არა გვეონია, რომ მისი არჩევა უფრო სასურველათ ჩაითვალოს, ვინც ს. მდივანისა. ეს უკანასკნელი, სხვა არა იყოს რა, ახალგაზდა, ენერგიული და მასთან ცხოვრებაზე სალი შეხედულების კაცია და როგორც ამნაირს, თქმა არ უნდა, შეეძლო უფრო მეტი სიცხოველზე შეეტანა ჩვენი თვით-მართველობის დამყარებულ ატმოსფეროში, ვიდრე ეს მოსალოდნელია ბ. სახნოვსკისაგან. მაშ როგორ მოხდა, რომ მას ამჯობინეს საქმეებში უცნობი სახნოვსკი? შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ხმოსნები რეაქციონერებია და გასაკვირველიც არ არის, რომ ეს ასე მოხდაო. ხმოსნები რომ ვერაფერი პროგრესისტებია ეს მართალია, მარა მდივანის გაშვება კი სულ სხვა პირობებში მოხდა. როგორც ვიცით, ბ. მდივანი ქართველების პარტიის კანდიდატი იყო; იმასაც ამბობენ, რომ ის თავიდან უარზე იდგა ყუთი დაედგა და თუ დაიდგა, ისევ ქართველ ხმოსნების დაჟინების წყალობით. და მართლაც ს. მდივანის არჩევა უკანასკნელ წამამდის თითქოს უზრუნველყოფილათაა მიიჩნდათ, მარა ის დიდი ხმის უმეტესობით გაშვებულ იქნა. მერე იცი, მკითხველო, ვისი წყალობით?.. ვისი და, თურმენუ იტყვიო, იმავე ქართველი ხმოსნების, რომლებიც ერთი საათის წინეთ ასე დაჟინებით ითხოვდნენ მდივანისაგან ყუთის დადგმას. ეს დღეს ყველასათვის ცხადია და ბ. მდივანიც დარწმუნებულია მისი თანამოაზრე ქართველების ასეთ მუხანათობაში. საინტერესოა, როგორ ასაბუთებენ ახლა ქართველი ხმოსნები თავის ასეთ საქციელს: ზოგი ამბობს ოურმე, მდივანს ბათუმში „ჭირნახული“ (ალბათ უძრავი ქონება) არა აქვსო და როგორ უნდა აგვერჩიოთ; ზოგიც უფრო შორს წასულა და გაიძახის: მდივანი სოციალისტია და ის რომ აგვერჩიო, მთელ უბრავას ბიჭ-ბუჭებით აავსებდა და ჩვენ აქ აღარ გავგვიძლებოდლო და სხვა. კარგი და პატიოსანი, ვთქვათ რომ მდივანი მართლა ასეთია და ყველა ამაებს ჩაიდენდა, მარა ნუ თუ ეს ამ ვაჟ-ბატონებმა არჩევნების წინ ერთი სა-

ათით გაიგეს მხოლოდ? ბ. მდივანი ანტი-სოციალისტია რაც ბათუმში მოღვაწეობს და ნუ თუ მას აქამდის არ იცნობდნენ? იცნობდნენ და ძალიან კარგათაც, მარა აბა რის ქართველები არიან, თუ სათქმელი პირში უთხრან ვინმეს და არა პირს უკან!? ჩვენ სრულებითაც არ გვიკვირს ჩვენი ქართველი ხმოსნების ასეთი საქციელი (ჩვენ, რათქმა უნდა, სახეში გვყავს ზოგიერთი მათგანი და არა ყველა): იმათთვის რომ სიტყვა სხვაა და საქმე სხვა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე საკუთარ ჯიბის ინტერესებს შეეხება,—ეს კი ხანია ცნობილია, მარა ბ. მდივანს ხომ თავისათ თვლადენ აქამდე და რატომ ასე ურცხვით უღალატეს? ეს კარგი გაკვეთილია ბ. მდივანისთვის: აწი იმედია ის უფრო მეტის კრიტიკის თვლით ჩაიხედავს, ვგრეთ წოდებულ, „საერთო ნიადგის“ მძებნელ ქართველების სულსა და გულში და ვინ იცის, ვგებ უარესიც დაინახოს.

ზევარიკე.



ს ო ტ ლ ი ს ა მ ბ ე ბ ი .

მარტვილი. ოკტომბრის 14—18 რიცხვებში აქ სასაღი ჯარის კაცების გამწვევი კომისია მუშაობდა. გასწვევი იყო სულ ერთი საბოქაულოდან 205 კაცი. კომისიის კაცები და კარგა ბლამა სტრასკინები იწავდნენ. ოფიცრის ცომიას მეთაურობით „чрезвычайная охрана“ — იყო გამოცხადებული. ჭირისუფლების გარდა აუარებელი ხალხი იყრის თავს ამ დროს აქ. ხალხის თავის მკურნა პოლიციის სომ უსამიეთ ეზარება, მაგრამ რადგან ხალხის დაძვას ვერ ასერსებდა, სამაგერათ სიმღერებს და სხვა ოსუნჯობას, რომელიც ამ დროს ემაწვალებს ჩვეულებათ აქეთ, უშლიდა. პოლიციის ასეთი მეტაწრობა ახალგაზდებს ბრახს ვკრიდა! — ერთი ჯგუფი ემაწვალებისა, თითქო ჯარის ამოსაყრელად, გაქანა ერთ მხრისკენ, მასთანა ხე, რომელსაც წითელი ლენტეხია მთავა და ასე აწარობდა „ბულვარის“ შექოლასს, მაგრამ აქ ჯგუფს ექურა ცომიას და ხელიდან გაკადებინა ლენტეხიანი ხე. როდესაც ცომიას ამ ამბავში იყო, მეორე ჯგუფს ამხარათვე მოძვალს, ვახაკები დაეცნ და დიდის ვაი-ვაგვასით დაშლეკინეს ხეების აწუღი ტარება. ადბათ პოლიციას აწუღ ხეებს დახასვარე სულ სხვა ქარი გაუჭდა... დროშები მოქლანდა.

30 ოკტომბერს, დამის 10 საათზე ქუთაისის მაზრის სტრასკინათა აფიცური ჩხეიძე სტრასკინების თანხლებით შემოერთა მასწ. გ. ქანდაკას ბინას. როდესაც ჩხეიძე კარებს მოადგა, აღმოჩნდა, რომ სასლდისთვის წინდაწინ ალფა შემოერთა. მასწ. ქანდაკას პოლიციას ბრახას სდებს განმათავისუფლებელ მოძრობაში მონაწილეობის მიღებისთვის, და ჩხეიძეს ეს ქუთაისის ს მაზრის

უფროსის განკარგულებით უნდა დაეკრუსდებიან, მაგრამ რადგან მასწ. ცოლი შიშველი კეთილმოეყო ყოფილა, ჩსკი-ძეს „ღმობიერება“ გამოუჩენია და ქაჯარავასთვის წინა-დადება შეუწია შირადათ გამოცხადებულა მასრის უფროსს. დანამდელებით გაეიგეთ, რომ ქაჯარავაზე და ბეკრ სხვა ხონელ სხალგაზდებზე ვიღაც იუდა-გამრეკელს „დახსონი“ შეუტანია, რასაკვირველია, შირადაი სჯარამე-ბის განსასწორებლათ. პოლიცია-კი, სცვლას „ იმისა, რომ უეურადლებით დასტოვოს, ასეთ დახსონებს დიდათ აფასებს და, ასე წარმოდგინეთ, რომ ორმოც კერსზე (ქუთაის და მარტვილს შუა 40 კერსია) თავის ერთგულ აგენტს აგზავნის.

11 ოკტომბერს სად. ბელაგორთან საფოსტო მატარებელზე თავ-დასხმის დროს დაჭრილი მგზავრი მუშა ვლ. აბრახამია უკვე გარდაიცვალა. განსვენებული სულ 22 წლის უმაწავლი იყო, შეტეხებული მუშა, რომელსაც ბაქაელ ამხანაგებში თვალსაჩინო ადგილი ექონა. დიას, იმსკერებლას ეს სიფრცხლით სავსე სხალგაზ-და უსირცხვილო „ექსპროპრიაციამ“ და არ დასცადდა სარდაგს თავი შეეწირა იმ საქმისთვის, რომელსაც ის მთელი თავისი გონებით ეკუთვნოდა.

30 ოკტომბერს აქ დასასულავეს მუშა მ. ვასხია. განსვენებული მსურვალე მონაწილეობას ღებულბდა გამათავისუფლებელ მოძრაობაში; ამ უამით ის ჭია-თურაში მუშაობდა, საიდანაც ავითმოეყო ჩამოიყვანეს. ჭიათურელმა ამხანაგებმა იმისი კუბო შექენიერი წია-თელ ღვინტანის გვირგვინით შეამკეს; ერთმა ამხანაგთა-განმა გრძობით სავსე სიტყვა წარმოთქვა. ამ სიტყვა-ში ისტებოდა ამხანაგების ღმრე შატვისცემა განსკე-რებულისადმი და მწუხარება იმასე, რომ სიკვდილამ იმით რაშმს გამოაჩადა საუკეთესო მებრძოლი. ჩამოსულ ამხანაგებმა ჭირისუფლებიან სწუგეშეს და ნივთიერი დას-ძარებაც აღმოუჩინეს. ამ გარემოებამ დიდათ დაახუგემა მშობლები.

კლდე ვიქნები.

წერილები რედაქციის შიდათ.

გაზეთ. „ცისკრის“ 8 №-ში იყო მოთავსებული ამბავი სამტრედიიდან, სადაც, სხვათა შორის, პატივეცემული პუბ-ლიცისტი ბ-ნი სოსი ბრალსა მდებს, ვითომ მე „ქაჩრის“ სიყვარულით გატაცებულს, მოსწავლეებისათვის ერთი კვირის ვადაც არ მიმეცეს სწავლის ფულის შემოტანისთვის, და ამას-თანავე ამბობს, „სწავლის საქმი ცუდათ არის მოწყობილი“. პატივეცემულ, გაზეთ „ცისკრის“ მკითხველებს გავაცნობ მოკლეთ, რაშიც არის სინამდვილე: წარსულ მართობისთვის დამლევს შევკრიბე მოწაფეების მშობლები და ვთხოვე მათ გავეთავისუფლებიე სწავლის ფულის მოკრფისაგან, რადგან უფლის თხოვა სიძულვილს იწვევს მოწაფეებში მასწავლებლი-

სადმი. მშობლებმა თვითონ იყისრეს ფულის შემოტანა დამ-ლევ სეკტემბრამდის, მაგრამ გავიდა სეკტემბერი, ოკტომბერი და ავირ მალე ნოემბერიც მოყვება და 2000-ს მოწაფეში ნახევარსაც არ შემოუტანია ფული. მიუხედავთ ამისა, მე ერთი მოწაფეც არ გამომირიცხავს, თუმცა სამოსწავლო კომი-სიისაგან დავალებული მაქვს, ვადის შემდეგ გამეშვა, ვინც არ შემოიტანდა.

ჩემი დანაშაული იმაშია, რომ ერთი ბავშვიც ფულის შემოუტანლობისგამო არ არის დათხოვნილი და სწავლას განაგრძობენ იმათთან, ვინაც სწავლის ფული შემოტანილი აქვს. რაიცა შეეხება სწავლის საქმეს, კარგს იზამდა ბ-ნი სოსი-თვითონ მომძინებელიყო შკოლაში, თუ მართლა გული შეს-ტივია ბალხზე, და გაეგო შკოლის გარემოება; ნაკლულევა-ნებას თუ აღმოაჩენდა, მის მიზეზსაც გაიგებდა და „სარწმუ-ნო წყაროც“ ეს იქნებოდა.

თუ ეს ასეა, ნეტავ ვიცოდებ, რათ კადრულობს ბ-ნი სოსი ყალბი ცნობების მიწოდებას გაზეთის მკითხველებისათვის.

სამტრედიის ორკლ. სასწავლებლის ზედამხედველი ბესარიონ ჯუღელი.
დ. სამტრედია. 1907 წ. ნოემბ. 11.

ბატონო რედაქტორო! თქვენის გაზეთის მე 6 №-ში ვინმე სხივი შვილი საყულისიდან იწვრება, სხვათა შორის ჩემზედაც და უმართლოთ მბრალებს ბევრ სიცუდეს. ვთხოვ ბ. სხივიშვილს გამომეყვოს სამელიატორო სამართალში და შე მძღლებიოს საზიზღარი ბრალდებანი ავიცილინო. რაკი ასეთი გულის წყრომით აწერს ჩემს საქმეებს, ალბათ პირადათაც მიტნობს და ამიტომ დღეიდან ათი დღის ვადაში მოველი მის-გან დანდობილს პირს, ანა და გაზეთის საზვალეებით მაცნო-ბოს, რომ თანახმაა გამომეყვოს სამ. სამართალში. თანახმა ვარ იმისაც, რომ, თუ მოისურვებს, მედიატორენი თვით დანიწნოს. თავიანთთაგანნი, რომ ამით ბატ. სხივიშვილმა მეტი სხივი მოფინოს თავის ბრალდებებს ჩემზე, თუ კი ასეთები გამოირ-კვევა.

დიმ. მესხი.

საყულია, ნოემბრის 8-ს.

შეცთომის განხორციება.

„ცისკრის“ მე-9 №-ში, მეთაურში, მესამე გვერდ-ზე, პირველ სვეტში, ქვემოდან მე 23 სტრიქონში დაბეჭდილია: შეთანხმებანს. უნდა იყოს ვერ შე-თანხმდებანს.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. კოხჩიძე.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა :

ზიათურაში ძმ. პატროკულოები

აყხობენ საუკეთესო ხარისხის ბურს, რომლის ღირსებაში პატივეცემულ საზოგადოებას შეუძლია დარწმუნდეს პირველ ხმარებისთანავე. პატივისცემით ძმ. პეტროკულოები.